საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 54 (856) | ოთხშაბათი, 6 აპრილი, 1994 წელი | ფასი 3000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის გადარჩენისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მიერ ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წინაშე დასმული საკითხები სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი თვის ვადაში:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, წლევანდელი წლის მეორე კვარტალიდან გაითვალისწინოს რესპუბლიკურ ბიუჯეტში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მშენებარე კორპუსის დასამთავრებლად დამატებით ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების გამოყოფა.

2. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ძირითად კორპუსსა და მის ფილიალებში არსებული ფონდების დაცვის გაძლიერების, აგრეთვე მათი შენახვის პირობების უზრუნველსაყოფად შესასრულებელი სამუშაოების დასაწყებად საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წლეულს გამოუყოს 1,5 მილიარდი კუპონი.

3. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ შეიმუშაოს და ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტზე განსახილველად წარმოადგინოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების კონცეფცია სახელმწიფო, კერძო ბიზნესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის გათვალისწინებით.

4. ქალაქ თბილისის მერიამ განიხილოს და გადაწყვიტოს:

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის მიმდებარე ტერიტორიების დამკვიდრების საკითხი;

მუზეუმის დაცვითი სიგნალიზაციის საიმედო მუშაობისთვის ელექტროენერგიის უწყვეტად მომარაგების უზრუნველყოფის საკითხი.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საიმედო დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების გეგმა.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 5 აპრილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ნინოწმინდის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები წარმოშვა ნინოწმინდის რაიონში, ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა, არასაკმარისია რაიონის უზრუნველყოფა მინერალური სასუქებით, სათესლე და საწვავ-საპოხი მასალებით, არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის პურით, ელექტროენერგიით, ბუნებრივი გაზით მომარაგება. მთელი დატვირთვით ვერ მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტები.

შექმნილი რთული ვითარების გაუმჯობესების მიზნით:

1. პირველი რიგის ამოცანად მიჩნეული იქნეს რაიონის საწარმოო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედება, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა (ზ. კერვალიშვილი, ა. მარგიანი, თ. ბასილია) შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და განახორციელოს რაიონის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და დაფინანსების ღონისძიებანი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაუყოვნებლივ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ნინოწმინდის რაიონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პროგრამა რაიონის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 4 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო-ეკონომიკურ გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე საქართველოს ეკონომიკის ორგანიზებულად გადასვლისა და საგარეო-ეკონომიკური გარიგებების დადების დროს სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებული სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელ იურიდიულ პირთა მიერ საექსპორტო, საიმპორტო, საქონელგაცვლითი, საკომპენსაციო და სხვა საგარეო-ეკონომიკური გარიგებების განხორციელებისას ამ გარიგებათა დამადასტურებელი დოკუმენტების (შემდგომში „კონტრაქტი“) სავალდებულო რეგისტრაცია გარიგებების ხელმოწერის შემდეგ.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს:

— უზრუნველყოს აღნიშნული კონტრაქტების რეგისტრაცია;

— რეგისტრირებული კონტრაქტების პირი რეგისტრაციის დამადასტურებელ ცნობასთან ერთად გადაუგზავნოს იმ რწმუნებულ ბანკს, სადაც მოცემული კონტრაქტის მონაწილე ორგანიზაციას გახსნილი აქვს სავალუტო ანგარიში.

3 დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტს არ ჩაატაროს საბაჟო შემოწმება და არ გასცეს საქონლის გადატვირთვის ნებართვა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის წერილობითი დამადასტურებელი ცნობის გარეშე.

4. დამტკიცდეს თანდართული წესები საქართველოს რესპუბლიკაში საექსპორტო, საიმპორტო, საქონელგაცვლითი, საკომპენსაციო და სხვა საგარეო-ეკონომიკურ გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

5. ეს დადგენილება ძალაშია 1994 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

სამინისტროს აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს

31 მარტს საქართველოს პარლამენტში მომხდარი ცნობილი ინციდენტის შემდეგ, ცალკეულ გაზეთებში გამოქვეყნდა პუბლიკაციები, რომელშიც აღნიშნულია, თითქოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში განხეთქილება და ურთიერთდაპირისპირებაა. უფრო მეტიც — თითქოს მინისტრის მოადგილეთა უმეტესობა მხარს არ უჭერდა პარლამენტის მიერ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მტკნარი სიცრუე და ბოროტი ცილისწამებაა იმ ადამიანთა მხრივ, ვისაც სურდა და სურს პირადი მიზნების მისაღწევად განხეთქილება შეიტანოს საქართველოს პოლიციის რიგებში, ჩრდილი მიაყენოს და ეჭვქვეშ დააყენოს ის ფართომასშტაბიანი ოპერაციები და სხვა ოპერატიული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებამაც საგრძნობი დარტყმა მიაყენა კრიმინალურ სამყაროსა და მაფიოზურ კლანებს, ხოლო საქართველოს მოსახლეობას ჩაუნერგა ქვეყანაში მართლწესრიგის აღდგენის იმედი.

უკანასკნელი დღეების მოვლენებმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს პოლიციას, რომელიც არ აჰყვა ცალკეული პირების ამბიციებსა და პროვოკაციულ ქმედებებს, კარგად აქვს შეგნებული თავისი მაღალი პასუხისმგებლობა ქვეყნის, ხალხისა და კანონის წინაშე, ძირეული რგოლიდან უმაღლეს ეშელონებამდე იგი არის შეკავშირებული, მონოლითური კოლექტივი, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს ყველას, ვინც ამაოდ შეეცდება პოლიციის რიგებში განხეთქილებისა და დესტაბილიზაციის შეტანას.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევისა და სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე 1994 წლის საგაზაფხულო გაწვევა დაიწყოს ამა წლის 20 აპრილს და გაგრძელდეს 1 ივლისამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიგებში გაწვეულ იქნენ 18-დან 25 წლის ასაკამდე წვევამდელები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გადავადების უფლება და საექიმო კომისიები სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად მიიჩნევენ.

3. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საქალაქო, რაიონული გამწვევი და საექიმო კომისიები, რომლებსაც ადგილებზე უხელმძღვანელონ სამხედრო კომისრებმა. მათი მუშაობის კონტროლისთვის შეიქმნას რესპუბლიკური გამწვევი და საექიმო კომისია რესპუბლიკის სამხედრო კომისრის ხელმძღვანელობით.

4. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა უზრუნველყოს რესპუბლიკური და რაიონული საექიმო კომისიების საჭირო ექიმ-სპეციალისტებით, მედიკამენტებითა და სამედიცინო ხელსაწყოებით დროული დაკომპლექტება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევებს უფასოდ და დადგენილ ვადებში. წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრისას ქალაქებისა და რაიონების მთავარმა ექიმებმა გაამკაცრონ კონტროლი სამედიცინო კომისიებისა და სამედიცინო დაწესებულებების მუშაობაზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა — გამგეობებმა და საკრებულოებმა საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გამოუყონ სამხედრო კომისარიატებს საჭირო შენობები, ტექნიკური მუშაკები, ავტოტრანსპორტი და საწვავი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, წვევამდელთა სამხედრო კომისარიატებში დროულად გამოცხადების უზრუნველსაყოფად, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად აქტიური დახმარება გაუწიონ სამხედრო კომისარიატებს გამწვევ უბნებში წვევამდელთა დროულად გამოცხადებაში, ამასთანავე გამოყონ ტრანსპორტი და საწვავი წვევამდელთა რესპუბლიკურ გამწვევ-განმანაწილებელ პუნქტამდე ჩასაყვანად.

წვევამდელთა ორგანიზებულად გამოცხადებისთვის და შეიარაღებულ ძალებში გაწვევისთვის რაიონებისა და ქალაქის გამგეობებთან და მერიებთან შეიქმნას შტაბები და საინიციატივო ჯგუფები, რომელთა მუშაობასაც უხელმძღვანელონ გამგეობებისა და მერიების ხელმძღვანელებმა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს წვევამდელთა შეუფერხებლად გადაყვანა სამხედრო კომისარიატებისა და სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების განაცხადების საფუძველზე.

7. რაიონებისა და ქალაქების პოლიციის ადგილობრივი ორგანოების განყოფილებებმა სამხედრო კომისარიატების შეტყობინების საფუძველზე მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ გამწვევ უბნებში გამოცხადებას, მოძებნონ ისინი და დროულად მიიყვანონ სამხედრო კომისარიატებში.

8. რაიონებისა და ქალაქების სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული ზომების განხორციელება იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს აარიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

9. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა დააწესოს მკაცრი კონტროლი რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატების მუშაობაზე. უზრუნველყოს რესპუბლიკის გამწვევი და საექიმო კომისიების მუშაობა და დროულად აღმოფხვრას ყოველგვარი ნაკლოვანებანი მათ საქმიანობაში.

10. შეიქმნას რესპუბლიკური გამწვევ-განმანაწილებელი პუნქტი, სადაც მოეწყოს რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოყვანილ წვევამდელთა ჯანმრთელობის გადამოწმება და მათი გაგზავნა სამხედრო ნაწილებში.

11. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისრისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი გამწვევი და საექიმო კომისიების შემადგენლობა (1.2 დანართები).

12. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სისტემატურად გააშუქონ წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის მიმდინარეობა და არ დაუშვან შეუმოწმებელი ფაქტების გადაცემა.

13. საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების გამგებლებმა, მერებმა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა საგაზაფხულო გაწვევის მსვლელობის მიმდინარეობა პერიოდულად მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

14. შეიარაღებულ ძალებში სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც გაიარეს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის ვადები.

სამხედრო მოსამსახურეების დათხოვნა განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში.

15. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციების საკითხთა მთავარ სახელმწიფო მრჩეველს ი. გვარიშვილს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

საქართველოს წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების რესპუბლიკური საექიმო კომისიის შემადგენლობა

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 25 მარტის 179 დადგენილებით.

ლ. კვახაძე — თერაპევტი, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ორდინატორი; **მ. ელიავა** — ნევროპათოლოგი, ქალაქის 1 საავადმყოფოს ორდინატორი; **ზ. გიორგობიანი** — ფსიქიატრი, რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ორდინატორი; **გ. ქამუშაძე** — ოფთალმოლოგი, ქალაქის № 5 საავადმყოფოს ოფთალმოლოგი; **ვ. აბაშიძე** — ოტოლარინგოლოგი, ქალაქის № 9 საავადმყოფოს ოტოლარინგოლოგი; **რ. ჩიკურიშვილი** — რენტგენოლოგი, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს რენტგენოლოგიური განყოფილების გამგე; **გ. ბრეგაძე** — სტომატოლოგი, რესპუბლიკის მთავარი სტომატოლოგი; **ნ. თომაძე** — ნარკოლოგი, ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; **ნ. ციციშვილი** — თბილისის № 1 სამშობიარო სახლის მედმუშაკი.

საქართველოს წვევამდელთა გამწვევი რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 25 მარტის 179 დადგენილებით (1 დანართი).

ტ. აბუაშვილი — კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, პოლკოვნიკი.

კომისიის წევრები: — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელი მართლწესრიგის, თავდაცვის, უშიშროების და საგანგებო სიტუაციების მუშაობის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველი **ხ. ადამია**; საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე **ქ. ქორიძე**; საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ჯ. გორგიაშვილი**; საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრი **ა. ჯორბენაძე**; საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურორი **ა. შუშანაშვილი**.

თ. ავალიშვილი — კომისიის მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილების ოფიცერი.

თანამშრომლობას მხარს უჭერს, მაგრამ...
რუსეთმა აცნობა გაეროს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში რუსეთის სამშვიდობო მისიას არ სჭირდება ერთა გაერთიანების განსაკუთრებული „ნებართვა“

გაერო, 5 აპრილი. (იტარ-საკდეს-საქინფორმი). რუსეთის ფედერაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციებს გაეროს წესდების შესაბამისად და მათი განხორციელებისთვის რუსეთს არ სჭირდება ერთა გაერთიანებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის „ნებართვა“. ეს ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივ განცხადებაში, რომელიც ორშაბათს გავრცელდა აქ როგორც გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს დოკუმენტი.

ამ ბოლო ხანს, აღნიშნულია დოკუმენტში, ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პუბლიკაციებში, აგრეთვე საერთაშორისო ფორუმებზე დისკუსიების დროს ხშირად გაისმის თეზისები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის „ორჭოფული“ სამშვიდობო მისიის შესახებ. ამტკიცებენ, თითქოს რუსეთის ფედერაცია სამშვიდობო საქმიანობის სახით — თანაც ლამის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გვერდის ავლით — აძლიერებდეს ძალისმიერ ზეგავლენას თავის მეზობლებზე, ითხოვდეს მათს საშინაო საქმეებში „ჩარევის“ უფლებას.

„უმთავრესი საბაბი იმათთვის, ვინც ასე აღიქვამს რუსეთის სამშვიდობო მისიას მეზობელ სახელმწიფოებში, გახლავთ თეზისი იმის შესახებ, თითქოს რუსეთის ფედერაცია „ცალმხრივად“ აგზავნიდეს თავის ჯარებს არასტაბილურ რაიონებში. ამ წანამძღვრიდან გამოაქვთ დასკვნა, რომ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების აღკვეთისთვის სამშვიდობო ძალისხმევაში მსოფლიო გაერთიანების მონაწილეობა უნდა გულისხმობდეს რუსეთის ფედერაციის მოქმედების გაკონტროლებას“, — ნათქვამია დოკუმენტში.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ თანამეგობრობის ქვეყნებში რუსეთის სამშვიდობო მისია არ წარმოადგენს „რუსეთის თვითმოქმედებას“. „უკლებლივ ყველა შემთხვევაში ჩვენი მოქმედება ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებისა და კონფლიქტის მონაწილე მხარეების თხოვნითა და თანხმობით. სამშვიდობო კონტინგენტები იგზავნება ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს“.

დოკუმენტში ხაზგასმულია: „რუსეთის ფედერაცია თანამიმდევრულად უჭერს მხარს გაეროსა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ყველაზე ფართო მონაწილეობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების კონფლიქტების მოწესრიგებაში. მაგრამ გაეროსა და ევროგაერთიანების არავითარი „ნებართვა“ არ არის საჭირო იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების ბაზაზე განხორციელდეს სამშვიდობო ოპერაციები რუსეთის ფედერაციისა და მისი მეზობლების მონაწილეობით“.

იქვე აღნიშნულია, რომ რუსეთი მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირთან თანამშრომლობას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში. „ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჭიანურდება რეაქცია გაეროსა და ევროგაერთიანებაში მხარდაჭერისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების არაერთგზის მიმართვებზე (კერძოდ, აფხაზეთსა და ტაჯიკეთში კონფლიქტების გამო), და ამიტომ რუსეთის ფედერაციისა და მისი მეზობლების შეთანხმებანი, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში შექმნილი მექანიზმები ამ რეგიონში მთავარ სამშვიდობო ინსტრუმენტებად რჩება... მსოფლიო გაერთიანებამ უნდა აღიაროს ეს ობიექტური რეალობა, დაიწყოს უფრო მჭიდრო თანამოქმედება რუსეთის ფედერაციასთან და მის მეზობლებთან“, — ხაზგასმით არის აღნიშნული რუსეთის განცხადებაში.

საქვეყნო ფიქრი

მთავარი ბრძოლები წინაა...

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც 11 მარტს დაიწყო, დამთავრდა 18 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯორჯ ბეიკერის მეგობრული ვიზიტით თბილისში.

მრავლისმთქმელი იყო ეს ვიზიტი და იმედის მომცემიც.

ასეთი რანგის პოლიტიკოსები მხოლოდ მეგობრების მოსანახულებლად არ მიემგზავრებიან ცხრა მთას იქით.

ღმერთმა ქნას, ეს ადამიანური ვიზიტი იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მსოფლიომ მარტოდმარტო არ შეგვატოვა ჩვენს მტრებსა თუ ჩვენსავე უკეთურობას.

ახლა უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოსთვის ქართული პრობლემა, ქართული ტკივილი და ქართული სიმართლე აღარ არის უცხო და ბევრი ადამიანისთვის და სახელმწიფოსთვის გასაგები ხდება.

ამერიკაში ვიზიტით საქართველოს სახელმწიფოს შემოევლო დიპლომატიური ვალავანი, მისი დიპლომატიური სივრცე თითქმის განისაზღვრა, მაგრამ ეს სივრცე ლოგიკურად და ჩვენი ადგილმდებარეობის მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით რომ შემოისაზღვროს, დარჩა ერთი, მეტად მნიშვნელოვანი, ნაბიჯის გადადგმა — ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობის მოგვარება, რაც დღეს მეტად რთულია უამრავ და უამრავ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და, თუნდაც, სუბიექტურ მიზეზთა გამო. მაგრამ საქართველოსთვის ეს პრობლემა გადასაჭრელია.

გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს.

ერთმა, ჩემთვის მეტად პატივსაცემმა, ახალგაზრდა კაცმა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა, აფხაზეთის კონფლიქტი გარკვეულწილად იმათი ბრალიც არის, ვინც ამტკიცებდა, დღევანდელი აფხაზები ორი-სამი საუკუნის წინათ ჩამოვიდნენ საქართველოში მთებიდან და რომ მსგავსად წერა არ შეიძლებაო.

აქ მეორდება კომუნისტების მეთოდოლოგიური შეცდომა — პოლიტიკოსმა არ შეიძლება მეცნიერს განუსაზღვროს კვლევის სფერო და უკარნახოს კვლევის დასკვნები.

საქართველოში მცხოვრები ხალხების მიგრაციისა და მათი ისტორიის კვლევა ქართველ მეცნიერთათვის რომ დახურული თემა გახლდათ, სწორედ ეს იყო ძალდატანება მეცნიერულ აზრზე, სწორედ ამიტომ ცვლიდა ჭეშმარიტებას ცრუმეცნიერება და სწორედ ამიტომ იქცა მეცნიერება პოლიტიკური სპეკულაციის საგნად.



ერთხელ და სამუდამოდ აშკარად და ყველას გასაგონად უნდა გაცხადდეს საქართველოს სახელმწიფოს სახელმწიფოებრიობის სამუდამო, უპირობო და ხელშეუხები პრინციპი: საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს თანაბარი უფლებანი და თანაბარი მოვალეობანი, მნიშვნელობა არა აქვს ვინ, როდის და რა მიზნით მოვიდა და დასახლდა ამ მიწა-წყალზე, მთავარია, ვინ როგორ ემსახურება საქართველოს, თავის სამშობლოს.

თუ ისტორიას ჩავხედავთ, იმასაც ვნახავთ, რომ მსოფლიოს ისტორია ხალხების მიგრაციის ისტორიაა, ეთნიკური მასების დაუოკებელი მოძრაობისა ამა თუ იმ მიმართულებით, ტერიტორიების თანდათანობითი თუ ერთობლივი ათვისება ან დაპყრობა. საქართველოს ისტორია და მისი დღევანდელობაც ამ პროცესის ერთი ნაწილია.

ახლა ჩვენზეა, თუმცა არა მხოლოდ ჩვენზეა დიდად დამოკიდებული თუ რითი დამთავრდება აფხაზური, ოსური თუ სხვა ეთნოსების საუკუნეობრივი სწრაფვა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ასათვისებლად თუ შესათვისებლად, გაგრძელდება იგი მრავალწლიან სისხლიან ომად თუ ერთაშორისი მშვიდობიანი თანაცხოვრების პროცესად.

საქართველოში ვინც ცხოვრობს — ცხოვრობს თავისი ტრადიციით, თავისი ენით, თავისი კულტურით, ჩვენ უნდა ვცეთ პატივი ერთმანეთის რაობას და ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო, ჩვენი ერთობლივი სამშობლო.

ფიზიკური გადარჩენის გზა დღევანდელ კონფლიქტურ მსოფლიოში ყველას ერთი გვაქვს — ისტორია დავუთმოთ მეცნიერებს, დაე, მათ იდავონ აკადემიურ აუდიტორიებში, ხოლო პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა ხალხს ნორმალური ცხოვრების საშუალება მისცენ.

ერთი კია — ქვეყანაზე არსებობს არა მარტო პოლიტიკური ალღო და პოლიტიკური სინდისიერება, არა მარტო მეცნიერული ალღო და მეცნიერული სინდისიერება, არამედ არსებობს მოქალაქეობრივი ალღოც, მოქალაქეობრივი სინდისიერებაცა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც.

უნდა იცოდე, მეცნიერი ხარ თუ მთავრობის წევრი და არა დაქირავებული პროვოკატორი, რა მოჰყვება შენს სიტყვებს იმის მტკიცებით, რომ ქართველებმა აფხაზებს ანბანი წაართვეს... (სწორედ ამას ამტკიცებდა ოციან წლებში როგორც ერთი რუსი მეცნიერი ისე, მისი წამხედურობით, აფხაზეთის განათლების მინისტრი).

უბირი კაცი ხომ არ ფიქრობს, რომ ანბანის წართმევა შეუძლებელია, მაგრამ მას სიძულვილი უღვივდება იმ ქართველთა მიმართ, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, ხოლო ქართველებს იმ აფხაზთა მიმართ, რომლებმაც ეს აბსურდი დაიჯერეს...

(დასასრული მე-8 გვ.)

მერვე სვეტი

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

შეიქმნა კოორდინაციის ბიურო

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების შესაბამისად და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან პრემიერ-მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით საქართველოსათვის საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა მისი საქვეუწყებო ორგანოს — ბიუროს დებულება. მასში განსაზღვრულია ბიუროს მიზნები და ამოცანები, მისი სტრუქტურა და მართვა. ბიუროს ამოცანაა საქართველოსთვის საზღვარგარეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო პირთა დახმარების კოორდინირება, დახმარების შესაძლო წყაროების გამონახვა და მათი რეალიზაციის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება.

მოქმედებს რესპუბლიკური შტაბი

ცხინვალის რეგიონში მომხდარი მიწისძვრისა და კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენისა და აღდგენით სამუშაოთა ორგანიზებულად განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა რესპუბლიკური საკოორდინაციო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ომარ კიკნაძე.

ელჩის მიღება

5 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო ჰოლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბარონი გიდერტ ვილემ დე ვის ვან სტინვიკი. იგი თავისი ქვეყნის ელჩია რუსეთის ფედერაციაში და ამიერიდან პარალელურად იგივე ფუნქციას შეასრულებს საქართველოში.

დღეს, ბარონი გიდერტ ვილემ დე ვის ვან სტინვიკი რწმუნებას სიგელს გადასცემს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

ლტოლვილთა ახალი ნაკადი

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ქუთაისის აეროპორტში კვლავ ჩამოდიან ლტოლვილები დალის ხეობიდან. როგორც დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს განყოფილების გამგემ თამაზ კვანტრიშვილმა განაცხადა, 120 ლტოლვილი გადაყვანილია ურეკში, 87 — ტყიბულში, 74 — თბილისში, 72 ქუთაისში დარჩა. აეროპორტში ლტოლვილთა ახალი ნაკადი ჩამოდის. დევნილთა განსახლების შტაბი უზრუნველყოფს მათ სურსათით და ანაწილებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ლტოლვილებმა თქვეს, რომ სოფლების აჟარისა და გენწვიშის მცხოვრებთა უმრავლესობა არ აპირებს საცხოვრებელი ადგილის დატოვებას.

●

აფხაზეთი. — აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ბრძანებით აფხაზეთის პროკურატურამ აღძრა ათასობით სისხლის სამართლის საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

ინფორმაცია სენაკიდან

სამედიცინო მომსახურებას — მეტი ყურადღება

სენაკის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადმინისტრაციული ერთეულია დასავლეთ საქართველოს რეგიონში. მოსახლეობის რაოდენობა აქ დღეისათვის 75 000 კაცს აღემატება. აქედან 20 000-ზე მეტი ხიზანია.

როგორია დღევანდელ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება?

ამის შესახებ გვესაუბრება სენაკის რაიონის მთავარი ექიმი ბოზი ჭუბაბრია.

— ჩვენი საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა სერიოზული გამოცდა ჩააბარა აქ მიმდინარე საომარი მოქმედებების დღეებში. ფაქტობრივად ბლოკირებული ვიყავით, ქალაქში შემოსასვლელი გზები გადაკეტილი იყო, არ გვყოფნიდა შესახვევი მასალა, მედიკამენტები, კვების პროდუქტები, ამის მიუხედავად, მაინც ვახერხებდით სათანადო სამედიცინო დახმარება გაგვეწია დაჭრილებისთვის. ოპერაციებს ნავთის ლამპის შუქზე ვაკეთებდით. ისეთ ავადმყოფებს, რომელთა მკურნალობა ჩვენთან შეუძლებელი იყო, ვაგზავნიდით ქუთაისისა და თბილისის საავადმყოფოებში. განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდნენ ქირურგიული და ტრავმატოლოგიური განყოფილებები. წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჩამოგვიტანეს მედიკამენტები და სხვა საჭირო მასალები. იმ პერიოდში ჩვენთან იმყოფებოდნენ, აგრეთვე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ადგილზე ოპერატიულად პრაქტიკულად გვეხმარებოდნენ, დაგვეხმარეს სატრანსპორტო საშუალებებიც.

საომარი ოპერაციების დროს ძლიერ დაზიანდა საავადმყოფოს კომპლექსის შენობები, რომლებსაც 6 ჭურვი მოხვდა, ორიც ეზოში გასკდა. სამი ჭურვი მოხვდა სამშობიარო სახლს. შენობებს არ შერჩა არც ერთი მინა. იმის მიუხედავად, რომ საავადმყოფოს საქმიანობის გაგრძელება თითქმის შეუძლებელი იყო, რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით მაშინვე შევუდექით აღდგენით სამუშაოებს. ერთი წუთითაც არ შეგვიწყვეტია ავადმყოფების მიღება და სათანადო დახმარების აღმოჩენა. ასეთი გაჭირვების დროს გვეწვია საქართველოს ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი, შემდეგ ჩამოვიდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, მისი მოადგილე მშენებლობის დარგში გურამ გოგიჩაძე, სააქციო საზოგადოება „ინტერმედის" ქუთაისის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი ირაკლი მელიაშვილი. ამ ორგანიზაციამ დიდი დახმარება გაგვიწია. ქუთაისელმა მშენებლებმა ჩამოგვიტანეს გამზადებული ფანჯრები, აგური, სამშენებლო ბლოკები, ცემენტი და შეუდგნენ მუშაობას.

დახმარების ხელი გამოგვიწოდა ბევრმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ. მათ შორის „საქტარის" ადგილობრივმა სარაიონთაშორისო ბაზამ (უფროსი — მიხეილ ქვარცხავა), ხალიჩების კომბინატმა (დირექტორი — კახა რუსია), სენაკის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი — ზურაბ ცაავა).

საომარი მოქმედებების მძიმე დღეებში დღედაღამ საავადმყოფოში იმყოფებოდნენ ჩვენი ქირურგები, ტრავმატოლოგები, რეანიმატორები. მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდით გვედგნენ სოხუმელი კოლეგები: ქირურგები და ტრავმატოლოგები ბორის გაბუნია, ბორის ჩიქოვანი, ჯემალ ჯოჯუა, ნიკოლოზ ძაგანია და სხვები.

საავადმყოფოში ამოქმედდა ყველა განყოფილება. ამჟამად მიმდინარეობს ოპერაციები, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვდგებით ნორმალური ცხოვრების კალაპოტში.

ამასთან ერთად, გვაქვს სერიოზული პრობლემებიც. რაიონში 20 000-ზე მეტი ხიზანი გვყავს. სამი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს ქალაქის განაპირას, ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე. კურორტ მენჯის სანატორიუმში მოთავსებულია 1500-ზე მეტი დევნილი. მათ შორის ბევრი ავადმყოფია. იძულებით გადაადგილებულთა მკურნალობისთვის საავადმყოფოს კომპლექსში შევქმენით სპეციალური განყოფილება პოლიკლინიკის უფლებებით, ხოლო ყოფილ სამხედრო ქალაქში გავხსენით სამედიცინო პუნქტი, რომელიც დავაკომპლექტეთ იძულებით გადაადგილებული სპეციალისტებით. მაგრამ, სამწუხაროდ ძალიან გვიჭირს მათი უზრუნველყოფა მედიკამენტებით. ქალაქის სააფთიაქო სამმართველოს არა აქვს საჭირო წამლები, კომერციულ აფთიაქებში კი, რომლებიც ასე მომრავლდა ჩვენთან, მედიკამენტებს ყიდიან მხოლოდ რუსულ მანეთებზე და თან ძალიან ძვირად.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დევნილთა ბავშვებს, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ვურიგებთ კვების პროდუქტებს.

თითქმის არ შემოგვრჩა სამედიცინო, სანიტარიული, სატრანსპორტო საშუალებები. საავადმყოფოდან დაიტაცეს ძვირადღირებული აპარატურა. დიდი შეფერხებებია ელექტროენერგიითა და პურით მომარაგებაში. არ არის საწვავი, სარეცხის ფხვნილი, საპონი და სხვა. რაიონში არის ინფექციური დაავადებების გავრცელების საშიშროება. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ, რომ იგი თავიდან ავიცილოთ.

შარშანდელი წლის ბოლოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოგვიყო 250 მილიონი კუპონი საწვავისა და სხვა აუცილებელი მოწყობილობების შესაძენად. ასევე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით სენაკის რაიონის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, დიზელის საწვავის და სხვა მოწყობილობათა შესაძენად გამოყოფილია 750 მილიონი კუპონი. მაგრამ ეს თანხები ჯერჯერობით არ მიგვიღია.

ვერაფრით ვერ მივაღწიეთ რაიონში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ამოქმედებას. ამის შესახებ ბევრი ითქვა. ზემდგომი ორგანოებისგან საკმაო დაპირებები მივიღეთ, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს საქმე ვერ მოგვარდა. არადა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გარეშე ამხელა რაიონის არსებობა ყოვლად დაუშვებელია.

ესაუბრა
იოსებ გოგეჩია,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

მიწაც ზარალობს და ხალხიც

მიწა დაუმუშავებელი რომ არ უნდა დარჩეს, ეს დღევანდელ გაჭირვების ჟამს უდავოა. ამიტომაც ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ყველას, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა აქვს. მაგრამ როდესაც თელაველთა გაერთიანება „ფარის" რწმუნებით აღჭურვილი თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მივადექი, ჩვენს თხოვნაზე მიწის იჯარით გადმოცემის თაობაზე უარით გვიპასუხეს. არადა, გაერთიანებას აქვს ტრაქტორი, სახნავ-სათესი მოწყობილობა და სხვა მექანიზმები და, სხვათა შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასაც ისახავს მიზნად.

უარის მოტივი? — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება (№ 199, 1993 წლის 5 მარტი), რომლის მეთორმეტე მუხლში ვკითხულობთ: სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დროებით, იჯარის შესახებ კანონის მიღებამდე, შეაჩერონ სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა...

როგორც ვხედავთ, ამ „დროებით" დადგენილებას ერთი წელიწადი შეუსრულდა. კანონი იჯარის შესახებ ჯერაც არ ჩანს. საგაზაფხულო სამუშაოები კი არ იცდის. იქნებ ჯობდეს, მინისტრთა კაბინეტმა დართოს ნება მიწის ფართობების იჯარით გაცემის თაობაზე? მანამდე მაინც, სანამ პარლამენტი შესაბამის კანონს მიიღებს.

ზურაბ არსენიშვილი.

ცეკავშირის კრებამ იმსჯელა

გაიმართა ცეკავშირის მეოცე მოწვევის საბჭოს მეცხრე კრება, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შარშანდელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და „საქართველოს რესპუბლიკაში სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები. მომხსენებელმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ, მიუხედავად რთული პირობებისა, სისტემის ცალკეულმა კორპორაციებმა, ორგანიზაციებმა, საწარმოებმა, გაერთიანებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებისათვის. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის ძირითადი დარგების, საზკვების, დამზადების, მრეწველობის, ტრანსპორტის საქმიანობის დონე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ცეკავშირის საბჭოს კრებამ სისტემის ცალკეული ორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების, გაერთიანებების ხელმძღვანელების მიერ გაწეული მუშაობა სამეურნეო-საფინანსო და საანგარიშსწორებო საქმიანობაში არასაკმარისად ჩათვალა.

კრებამ მიიღო დადგენილებები, მათ შორის საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის 1993 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების, ცეკავშირისათვის სახელწოდების შეცვლისა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ეროვნული ალიანსის შექმნის დადასტურების, ცეკავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანის, ცეკავშირის XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

სარედაქციო ფოსტიდან

უმძაფრესია რეალობის განცდა...

სრულიად საქართველო უდიდესი ყურადღებით უსმენდა პარლამენტის სხდომას, რომელზედაც საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების ბედი წყდებოდა. თავისუფლების უარყოფა ყოველ ქართველში დიდ გულისტკივილს იწვევდა. ისტორიის მწარე რეალობამ არც ამჯერად მოგვცა საშუალება ჩვენი თავი „ჩვენადვე გვეყუდნოდეს"... გავუყევით ისევ ძველ გზას, გზას რომელზედაც ბევრი ეკალი გვიგემნია, ბევრი სისხლი დაგვიღვრია, ისიც ვიცით, არც აწინდელი სავალი იქნება ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ იმედი ხსნისა, ისევ ამ გზაზე გადის.

უმძაფრესი იყო იმდღევანდელი პარლამენტის სხდომა, ალსავსე ჩვენი პოლიტიკური უბედობით...

უკიდურესად გვენანებოდა საქართველოს თავისუფლებისათვის დაუღალავად მებრძოლი, იმედგაცრუებული ოპოზიცია, რომელთა წრფელი სიყვარული არ მართლდებოდა...

უკიდურესად გვენანებოდა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი სახელმწიფოს მეთაური და საპარლამენტო უმრავლესობა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს წრფელი სიყვარულისა და გადარჩენისთვის მიაბიჯებდნენ ისევ ძველი გზით... უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდათ და იმიტომ...

ამ პარლამენტის სხდომაზე იყო დავა, იყო კამათი, იყო გოდება, იყო აგონია, იყო თხოვნა, იყო მოთხოვნა, იყო დათხოვნაც, ცილისწამებაც... იყო განკითხვა ერთი პიროვნებისა, მაგრამ არ იყო საკუთარი შეცდომების აღიარება! პოულობდნენ შეცდომებს, ეძებდნენ მოღალატეს, — საბედნიეროდ, იგი ქართველთა შორის არ ჩანდა! ამის მიუხედავად პოლიტიკური რეალობისთვის არავის სურდა თვალის გასწორება, რეალობა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე სდევდა თან საქართველოს.

უკვე მესამედ საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოს მეთაური „საბრალდებო" სკამზე აღმოჩნდა!

„განკიცხულს" ბრალს სდებდნენ დაშვებული შეცდომებისთვის და პასუხს სთხოვდნენ გაუმართავი ეკონომიკის, გაუწვრთნელი, არარსებული არმიის, დსთ-ში გაწევრიანების გამო.

ვითომ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ოდესმე ადვილი სამართავი ყოფილიყო... ვითომ, გარე სამყარო მუდამ ყველაფერს ვვისრულებდა ისე, რომ ჩვენს არც ერთ ინტერესს არ შებღალავდა... ვითომ, ჩვენი საგარეო პოლიტიკა სულაც არ არის გაძნელებული გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ვითომ საგარეო პოლიტიკაზე არ იყოს დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა... არც ის იცოდნენ, გავერანებული ეკონომიკა რომ ვერ წარმოშობს გაწვრთნილ არმიას. არც ის იყო ცნობილი, დამშეული თოფიანი კაცი წესრიგს რომ არ დაიცავს... თურმე, არავინ იცოდა, რომ სწორედ ეკონომიკის დაკნინება იწვევს ქვეყნის შიგნით უწესრიგობას! არ გაქვს ბიუჯეტი, ვერ შეინახავ არმიას, არ გყავს არმია, ვერ აკონტროლებ ტერიტორიას, არ გყავს არმია — საერთოდ არ ხარ სახელმწიფო...

ყოველივე ამისათვის ითხოვდნენ პასუხს სახელმწიფოს მეთაურისაგან.

პრობლემებით დამძიმებულმა სახელმწიფოს მეთაურმა მოთმინებით ისმინა ყველა ბრალდება და ბოროტი სიტყვა, გადაწყვეტილება კი არ შეუცვლია, — ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგა.

თქვენის ნებართვით, ძვირფასო, მკითხველო, — ვსვამ შეკითხვას: ეკონომიკურად მუხლზე დაჩოქილი ქვეყნის დაკაბალების სურვილი რუსეთის გარდა, სხვას არავის მოუვა აზრად? თუ სხვა ვერ შეძლებს?

დავუშვათ, არ გავწევრიანებულიყავით დსთ-ში, შევძლებდით კი ჩვენზე თავდატეხილი უბედურების მარტო გამკლავებას?.. ვიყავით მარტო, იბომბებოდა სოხუმი, ვითხოვდით შველას, ვისგან მივიღეთ ჯეროვანი დახმარება? მოვიდა ნატოს ჯარი? — არა! რატომ? ძლივს დავიდა ხალხის შეგნებამდე, რომ რუსეთის წინააღმდეგ ჩვენს საშველად არავინ მოვიდოდა. ჩაქრა იმედის ნაპერწკალი, რეალობამ ცხადად დაგვანახა სინამდვილე. ნუთუ, პოლიტიკოსებმა ისტორიული კატაკლიზმების არსებობა მთლიანად შეიძლება გამორიცხონ და არ გაითვალისწინონ ის შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს წინდაუხედაობას?

დავუშვათ, მხოლოდ ევროპისაკენ ვიყურებით, მაშინ ვიკითხოთ: თვით ევროპას ვჭირდებით? გავიხსენოთ ჩერჩილის გამონათქვამი: ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მტრები, ინგლისს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი სახელმწიფო ინტერესები!

ეს არის დიდი ევროპის პრეამბულა. ყველა დიდი სახელმწიფო ამ ფორმულით ცხოვრობს.

ყველაზე თვალშისაცემი მაინც ის არის, რატომ ვხატავთ რუსეთთან ურთიერთობებს მხოლოდ მუქ ფერებში? განა თვით ილია ჭავჭავაძე არ ამბობდა: „საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ გაგვიღო კარი განათლებისაო". ჩვენ რაღა დაგვემართა? რა ისტერიულმა სიძულვილმა დაგვრია ხელი? ნუთუ ვერ ვხედავთ სიძულვილის ტალღამ როგორ გაგვანადგურა ერი? სიძულვილი ხომ მიზნების გაკერპებას მოაქვს?.. სხვისი სისასტიკე გვიკვირს, ჩვენ ნაკლებად შეგვძლებია ცუდის კეთება?

მოგვარდება თუ არა ჩვენი პრობლემები დსთ-ში შესვლით, — კითხულობს ზოგიერთი. შეუსვლელობით მოგვარდა?

დსთ-ში გაწევრიანების შემდეგ შეგვხვდება თუ არა რეაქციული ძალების სუსხი? ეს შეკითხვა ტოლფასია იმავე შეკითხვისა: შეუსვლელობით რა, უკვე არ მოგვიწვდნენ? ხოლო თუ მთლად სათავეში მოვლენ, სად დავემალებით?, დაუპატიჟებლად ვერ გვესტუმრებიან?

ამიტომაც გთხოვთ, ღრმად პატივცემულო ოპოზიციავ, ერის გულწრფელო პატრიოტებო, მიეცით ამ კაცს ფართო გზა!

ბედი ქართვლისა პირველმა შენიშნა და გადაწყვიტა პატარა კახმა! არც მაშინ იყო სხვა გზა...

როგორ საკვირველადაც უნდა მოსჩანდეს დღეს ეს აზრი, მაინც მოგახსენებთ: ერეკლე მეორის დროიდან იწყება ქართველთა ხელახალი სულიერი შეკავშირება. მხოლოდ სულიერად მთლიან ერს ძალუძს დაადგეს აღმშენებლობის გზას! ეს პროცესი უკვე დაიწყო. ნეტარ ხართ, ბატონებო — პოზიციავ და ოპოზიციავ! თქვენ შესძლით ერის ბურანიდან გამორკვევა და სწორ გზაზე გამოყვანა! ეს არის თქვენი პოლიტიკის გამარჯვება! ეს არის დიდი პოლიტიკა! ახლა, მთავარია ძლიერს ვაცალოთ, კრიჭაში არ ჩავუდგეთ, გული არ მოვუკლათ!

ნუ გვგონია სიძულვილით ჩავწვდებით ჭეშმარიტებას, ან რაიმე პრაქტიკულ შედეგს მივიღებთ!

პატრიოტებო, უმძაფრესია რეალობის განცდა!

ქეთევან ბარუჩავა,
საქართველოს საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსი.

სოფელს მივხედოთ, სოფელს!



მიწა შიშველი ხელებით ვერ დამუშავდება!

ამბობენ: „გაზაფხულის ერთი დღე მთელ წელიწადს კვებავსო". გაზაფხული უკვე კარგა ხანია დგას, მაგრამ სამწუხაროდ, საგაზაფხულო სამუშაოები არც კი დაუწყიათ. ამის ერთ-ერთი მიზეზია მიწის ნაჩქარევი პრივატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, საწვავ-საპოხი მასალებისა და შხამქიმიკატების მწვავე დეფიციტი, მათი ფასების კატასტროფული ზრდა... ამასთან, კარგა ხანია, რაც სოფლის მეურნეობას საფუძველი გამოეცალა და მის წელში გამართვას არ იქნა და საშველი აღარ დაადგა. არადა, ჩვენი მარჩენალი მიწა როდემდე უნდა იყოს მოუხნავ-დაუთესავი? როდემდე უნდა ვიყოთ ხელგაშვერილები, ან მამასისხლად ვყიდულობდეთ მარცვლეულს? გვექნება კი ყოველთვის ამის გარანტია?! ვიღაცა ხომ უნდა წუხდეს იმაზე, რომ დღევანდელი უმწვავესი სიდუხჭირის ჟამს ქართული მიწის მთლიანი და სრულფასოვანი დამუშავება პრობლემათა პრობლემად რჩება. თავს ნუ მოვიტყუებთ, ასეა ბევრ სასოფლო რაიონში და, კერძოდ, საჩხერეშიც.

რაიონის გამგეობამ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ზრუნვა დროულად დაიწყო, ყველა საკრებულოში ჩაატარა გასვლითი სხდომები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტებთან ერთად განიხილა საგაზაფხულო სამუშაოების მდგომარეობა და სოფლის მეურნეობის სისტემაში დასაქმებულ მუშაკებს, კომპლექსური სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიებების განსახორციელებლად კონკრეტული დავალებები მისცა...

— წლეულს, საჩხერისა და მის ზონაში საგაზაფხულო კულტურები 6957 ჰექტარზე უნდა დავთესოთ, მათ შორის სამარცვლე სიმინდი დაითესება 6650 ჰექტარზე, ბოსტნეული კულტურები — 205, ხოლო ლობიოს შერევით შევთესავთ 500 ჰექტარზე. — თუ სათანადო ხელშეწყობა გვექნება, — ამბობს საჩხერის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი იური ნასარიძე, — ჩვენი ძალებით, ყოველდღიურად, 200 ჰექტარზე მოვხნავთ და დავთესავთ.

მან ისიც გვითხრა, რომ საჩხერელ სოფლის მეურნეობის მუშაკებს წლეულს 3300 ცენტნერი სიმინდის, 50 ტონა კარტოფილის, 30 ტონა ლობიოსა და სხვა სახის ბოსტნეულის თესლი დასჭირდებათ. სადღეისოდ ისინი უზრუნველყოფილი არიან სიმინდის, ლობიოსა და კარტოფილის საკუთარი წარმოების თესლებით, მაგრამ აკლიათ ზოგიერთი ბოსტნეულის თესლი, რასაც კერძო პირებისაგან ყიდულობენ.

როგორც გვითხრეს, ადრეულ წლებში საჩხერის ზონაში სოიის უხვი მოსავალი მოჰყავდათ. აქ ითესებოდა მოკლე ვეგეტაციის სოია („ადგილობრივი ჭიათურული"). დღეს კი მას მხოლოდ კერძო სექტორში თესავენ. ტრადიცია უნდა აღვადგინოთ, — ამბობენ საჩხერელები.

დღეს, უხვ მოსავალს სასუქების გამოუყენებლად ნამდვილად ვერ მიიღებ. ამიტომაც საჩხერის „სოფლნაყოფიერების" რაიონული განყოფილება (ხელმძღვანელი — გ. მეგრელი), განსაკუთრებით ზრუნავს, რომ რაიონი ფოსფორ-კალიუმიანი სასუქებით უზრუნველყოს და სასურველ შედეგებსაც მიაღწია. თუმცა, საჭიროა კიდევ 1500 ტონა აზოტოვანი სასუქი, მაგრამ შეძენა უჭირთ, რადგან რუსთავის „აზოტის" ქარხანა შეფერხებით მუშაობს.

საჩხერეში რამდენიმე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. ისინი წლის ყოველ დროს ხელებდაკაპიწებული შრომობენ და საგულისხმო შედეგებს აღწევენ. ზამთრის ხელსაყრელი პირობები კარგად გამოიყენა მერჯევის სახელმწიფო საწარმომ „მამულმა" და სხვ. მათ ვენახის მთლიან ფართობებზე შეიტანეს ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები. სამწუხაროდ, ამ სასუქებზე შედარებით ნაკლებად მიუწვდება ხელი კერძო სექტორს და ამიტომაც მოსავალი საგრძნობლად მცირდება.

არაერთი პრობლემაა რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოში (დირექტორი — გ. კაციტაძე). დღეისათვის მას სხვადასხვა მარკის 163 ტრაქტორი ერიცხება, რომელთაგან 135 გამართულია. ასე რომ, ამ ტექნიკას შეუძლია რაიონსა და მის ზონაში ერთ თვეში დაასრულოს საგაზაფხულო ხვნა. მაგრამ საწვავ-საპოხი და სათადარიგო ნაწილების დეფიციტი აქაც „თავის სათქმელს ამბობს".

ამიტომ ზოგიერთ საკრებულოში ხდება დანაშაული. მაგალითად, ჭალოვანისა და კორბოულის საკრებულოებში (გამგებლები — ი. ტეფნაძე, ტ. არჭევანიძე) კუსტარული წესით გადამუშავებული საწვავი გამოიყენეს და რამდენიმე ტრაქტორი მწყობრიდან გამოიყვანეს. ამავე საკრებულოებსა და არგვეთის, ჯალაურთის, ჭალის საკრებულოებში (გამგებლები: რ. აბრამიშვილი, ი. გეგეშიძე, შ. ჭიტაძე) გაასხვისეს ან გაძარცვეს სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სახნავ-სათესი და მისაბმელი აგრეგატები.

მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ რაიონის მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კერძო სექტორში ხვნა-თესვის გადასახდელების სწორ გაანგარიშებას და მექანიზატორები საზღაურს სტიქიურად, პირადი შეფასებით იღებენ. მოუგვარებელია, აგრეთვე, საწვავის ხარჯვისა და მომსახურების თანხების აღრიცხვა. ამ მიზეზთა გამო რაიონის ბიუჯეტი სოლიდურ შემოსავალს კარგავს, რითაც საერთო საქმე ზიანდება...

— ძირფესვიანად უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება მიწის მეპატრონესთან, მას პრაქტიკულად უნდა დავეხმაროთ საჭირო საკითხების მოგვარებაში, — ამბობს რაიონის თავკაცი ცეზარ ლაშხი და დასძენს, — თუ ეს ასე არ მოხდა, რესპუბლიკაში სასურსათო პრობლემების მოგვარების იმედი არ უნდა გვქონდეს. აუცილებელია ამ ეტაპზე საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად საზოგადოებრივ მეურნეობებს საწვავ-საპოხი და ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შესაძენად შეღავათიანი კრედიტები გამოვუყოთ...

მართალია რაიონის გამგებელი, მიწას დღეს „ხელშიშველი" პატრონი ჰყავს, არადა, დრო არ ითმენს, წლის მოსავალს სწორედ დღეს უნდა ჩაეყაროს საფუძველი, ხვალ უკვე გვიან იქნება.

სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.

როცა გულაღმა გდია მამული

დოესელი გლეხობა სოფლის დღევანდელ და ხვალინდელ პრობლემებზე მსჯელობს

კასპის რაიონის სოფელი დოესი ქართლში ერთი დიდი და მჭიდროდ დასახლებული სოფელია. დოესელები ბოსტნეულის, ხილისა და თავთავიანი კულტურების მოყვანის აღიარებული ოსტატები არიან. შრომამ აქცია დოესი კეთილმოწყობილ სოფლად — ახალი კულტურის სახლი, სკოლა, მოასფალტებული გზები, სავაჭრო ცენტრი, სასმელი წყალი, შინმოუსვლელთა ხსოვნის მემორიალი, ყველაფერი ეს ბოლო ათ-თორმეტ წელიწადში გაკეთდა, როცა დოესის მეთესლეობის მეურნეობას სათავეში ედგა ამ სოფლის მკვიდრი ამირან ხორბალაძე, ახლახან დირექტორმა განცხადება დაწერა სამუშაოდან წასვლაზე — ახლა ახალგაზრდებმა ითავონ საქმე, მაგათი ჯერიაო. მაგრამ სადღაა ახალგაზრდობა — ვინ საშოვარზე წასულა, ღმერთმა არ იცის, სად, ხოლო, ვინც სოფელში დარჩა, თავის კომერციულ ჯიხურებში შემძვრალა და იქიდან კმაყოფილი შემოგცქის. ბოლო წლებში ცნობილი მიზეზების გამო, ბევრი რამ გადახდა დოესს, უკან-უკან წავიდა მეურნეობის ეკონომიკა, გაიძარცვა და გატიალდა სატრაქტორო პარკი, მეცხოველეობის ფერმები, სოფელში გაჩაღდა ქურდობა, ერთმანეთის მტრობა, მოკლედ ის, რაც ადრე უცხო იყო დოესელთათვის.

სოფლის თავყრილობაზე კი, რომელიც ახლახან დოესში გაიმართა, საუბარი იყო საერთო გასაჭირზე, მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაზე, ჩამორჩენიდან თავის დაღწევის გზების ძიებაზე.

სოფლის გამგებელმა, სხვა გამომსვლელებმა გულისტკივილით ილაპარაკეს სოფელში ბოლო წლებში შექმნილ სირთულეებზე. სატუმბი სადგური სპილენძზე მონადირეებმა გაძარცვეს და — ფართობებს ვეღარ რწყავენ დოესელები. გაძარცვული ტრაქტორები ამაოდ ელიან სათადარიგო ნაწილებს და საწვავ-საპოხ მასალებს, ამასობაში კი მიწა მოუხნავი რჩება. „მესამე წელიწადია, გულაღმა გდია მამული", — დაიჩივლა ყრილობაზე მექანიზატორმა გერისო ჭონიაშვილმა. უკეთესობა არც სოფლელების ყოფით მხარეს ეტყობა, თბო და ენერგორესურსების საერთო კრიზისს თან ერთვის შეფერხებები მოსახლეობის ფქვილით, შაქრით, სხვა პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით მომარაგებაში. ელექტროენერგიაც რომ იყოს, სოფლის პურის საცხობი მაინც ვერ იმუშავებდა საფუვრის, მარილის, ზეთის უქონლობის გამო.

მიწის რეფორმამ, რომელიც სოფელში უგერგილოდ ჩატარდა და ჯერაც არ დამთავრებულა, ბევრი ვერაფერი სიკეთე მოუტანა გლეხობას. ერთხელაც ვერ შეწამლეს ბაღები — შხამქიმიკატები არ იშოვება. ყველაფერი ეს ადრე, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. ახლა, კვლავ გაგვიჩნდა იმედი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში საქართველოს შესვლა, ზოგიერთებს მოსწონთ თუ არა, ამ გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირების კვლავ აღდგენის საშუალებას იძლევა.

რაც შეეხება მიწის რეფორმას, იგი იმათთვის იყო სასარგებლო, ვინც მოახერხა და რეფორმის ადგილობრივ კომისიებში გაძვრა. კომისიის წევრებმა თავიანთი საქმე გააკეთეს, საუკეთესო მიწები დაირიგეს და მერე საერთოდ მიანებეს თავი კომისიის საქმიანობას. ბევრი დოესელის ოჯახი კი დღესაც ელოდება, როდის შეუვსებენ საკარმიდამო ნაკვეთებს.

ესეც შენი მიწის რეფორმა!

დოესელებმა მკაცრად დაგმეს იმათი საქციელი, ვინც განზე დგას სოფლის სატკივარისაგან, არაფერში ადგება საერთო საქმეს. აი, თუნდაც სასმელი წყლის პრობლემა. მეურნეობისა და სოფლის თავკაცებმა თავის დროზე დიდი ჯაფის ფასად სოფელში სასმელი წყალი შემოიყვანეს. არადა, ზოგან მილები დასკდა, მოკლედ სასმელი წყლის მაგისტრალი კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. ერთმანეთის ცქერით კი საქმე ადგილიდან არ იძვრის.

— კმარა! — ითქვა ყრილობაზე, — ჩვენს სატკივარს ჩვენვე უნდა ვუწამლოთ, ჩვენს საქმეებს ჩვენვე უნდა მივხედოთ. სოფლის ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, სამეურნეო საქმეებში აქტიური მონაწილეობის, თანასოფლელთა ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის. აირჩიეს კომისია, რომელიც თვალყურს მიადევნებს დადგენილების პრაქტიკულად შესრულებას.

სოფლის ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის წევრმა, კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ გია ცხისთავმა.

გურამ ფაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

დირექტორი-შვილი დირექტორისა და შვილიშვილი დირექტორისა

ლესიჭინე განვლილი ქარტეხილების შემდეგ

გაზაფხულმა შემოაბიჯა. საოცრად თბილი დღეები დგას სამეგრელოში. გასახარია, რომ ახლა აქ ველ-მინდვრებში ნამდვილი საგაზაფხულო ცხოვრების მაჯისცემა იგრძნობა.

მინდა მოკლედ მოგითხროთ ჩხოროწყუს რაიონის ერთ-ერთ მთაგორიან სოფელ ლესიჭინეზე.

სახელწოდება „ლესიჭინე" ტოპონიმურად იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოდითგანვე სჭარბობდა სიჭინავების გვარი. აღსანიშნავია, რომ დღესაც სოფლის მოსახლეობის სამოცი პროცენტი ამ გვარისანი არიან, ისინი ყოველთვის ბედსა თუ უბედობაში, ჯანსაღი ეროვნული პოზიციით გამოირჩევიან.

სოფელში არის ჩაის მეურნეობა, აგროსამრეწველო კომბინატი, ორი სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ამდენივე ჩაის ფაბრიკა.

ლესიჭინეში ახლა დიდი აღმშენებლობითი შრომაა გაჩაღებული. აქაური გლეხობა შრომით იმუშებს სულისა და გულის იარებს, რაც ადრე ამ რეგიონში გამეფებულმა უთავბოლო პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა მოუტანეს მათ.

რაღა თქმა უნდა, იმ ძნელბედობის ჟამს არც ლესიჭინე ყოფილა გამონაკლისი, ნებსით თუ უნებლიედ, ისიც აღმოჩნდა სხვადასხვა მოულოდნელი სიძნელეების წინაშე. მაგრამ, რაც მთავარია, აქაურები ყოველთვის სწორად რეაგირებდნენ ყველა არასასურველ მოვლენაზე. იყო დრო, როცა „ეგრეთწოდებული" „საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის" ლიდერები ჩხოროწყუელებს საყოველთაო გაფიცვებისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ ლესიჭინელები მაინც მთელი ძალისხმევით შრომობდნენ და თავიანთი საზრიანი საქმიანობით მტკიცე საფუძველს ქმნიდნენ საბაზრო ურთიერთობების რელსებზე გადასასვლელად.

ლესიჭინეს რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატი 60-იან წლებშია შექმნილი, რაც ადრე არსებული ჩაის მეურნეობის გაფართოების ბაზაზე მოხდა. 1983 წელს მეურნეობაში ჩაის მიკროფაბრიკა ააგეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ აგროსამრეწველო კომბინატად გადაკეთდა. არც ისე დიდი ხნის წინათ, აგროკომბინატის 300 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციებიდან ყოველწლიურად იკრიფებოდა და ადგილობრივ გადამამუშავებელ საწარმოს ბარდებოდა 2500 ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მართალია, შარშან ეს ციფრი მკვეთრად შემცირდა და მან მხოლოდ 960 ტონა შეადგინა, მაგრამ რას ვიზამთ, იმ ძნელბედობისა და პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში ესეც აგროკომბინატის მშრომელთა ერთგვარი მიღწევა იყო, რადგან რაიონის ოცდაოთხმა სასოფლო-სამეურნეო საწარმომ ერთად მხოლოდ 6000 ტონა ჩაის ნედლეული ძლივს დაამზადა.

როგორც კომბინატის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, შარშან ჩაის კრეფის სეზონი დიდი დაგვიანებით დაიწყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირველი ვეგეტაციის ჩაის ფოთოლი საერთოდ არ მოკრეფილა და დიდძალი ნედლეული დაიკარგა. ასეთივე ბედი ეწია ბოლო ვეგეტაციასაც.

კომბინატმა მოკრეფილი 960 ტონა ჩაის ნედლეულიდან 220 ტონა მზა პროდუქცია მიიღო, რომლის რეალიზება კანონიერი ბარტერული წესით ხდება. 105 ტონა დაფასოებული მაღალი ხარისხის ჩაი გაიგზავნა თურქმენეთში. დარჩენილი 115 ტონა კი უკვე გამზადებულია და მალე გაიგზავნება რუსეთსა და უკრაინაში, საიდანაც კომბინატმა, დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, უნდა მიიღოს საწვავ-საპოხი და ტარა მასალები, აგრეთვე სასურსათო პროდუქტები. ეს მას საშუალებას მისცემს წარმატებით დაამთავროს მიმდინარე სამეურნეო წელი. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ შარშან კომბინატის მოგებამ 1,5 მილიარდი კუპონი შეადგინა.

წლეულს საკმაოდ ორგანიზებულად დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები (გადაბარვა, ჩაის ბუჩქების გასხვლა). მალე დაიწყება პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანა. ოღონდ ეს კია, რომ სასუქები კატასტროფულად გაძვირდა და ახლა ერთი ტონა ამონიუმის გვარჯილა ორი მილიონი კუპონი ჯდება. წინასწარი გაანგარიშებით, კომბინატს წლეულს დაახლოებით 300 ტონა მინერალური სასუქი დასჭირდება და, ბუნებრივია, ეს დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უამისოდ გათვალისწინებული რაოდენობის ხარისხოვანი ნედლეული ვერ დამზადდება. წლეულს აგროკომბინატის მეჩაიეები 1800 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას აპირებენ, რასაც ისინი აქედანვე უყრიან მტკიცე საფუძველს.

ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით ჩვეული შრომითი აქტიურობით გამოირჩევიან ამ რამოდენიმე წლის წინათ აჭარიდან სტიქიური უბედურების შედეგად ჩამოსახლებულნი, რომლებმაც შარშან 350 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. მათ ჩამოსვლისთანავე აუღეს ალღო აქაურობას, სწრაფად დაძლიეს, ეგრეთ წოდებული, „კუთხურობის ბარიერი" და სისხლხორცეულად გაითავისეს ლესიჭინელთა ჭირ-ვარამი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლეულს მდგომარეობა შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია, მაგრამ სიძნელეები მაინც იგრძნობა. თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამდენი შინააშლილობის შემდეგ ერთბაშად შეუძლებელია ყველაფრის მოწესრიგება. საკმაო რაოდენობით არ არის საწვავ-საპოხი მასალები, სერიოზული შეფერხებებია ელექტროენერგიით მომარაგებაში. გადასაწყვეტია მრავალი სოციალური საკითხი, რაც უდავოდ აგროკომბინატელთა ბრძნულ განჭვრეტას მოითხოვს.

როგორც ითქვა, ლესიჭინეს რუსთაველის სახელობის აგროკომბინატი შეიქმნა აქ არსებული ჩაის მეურნეობის გაფართოების ბაზაზე. მაშინ იმ მეურნეობას სათავეში ედგა სწავლული აგრონომი, ამავე სოფლის მკვიდრი, აწ განსვენებული შოთა ლემონჯავა, რომელმაც დიდხანს იღვაწა მშობლიურ სოფელში ჩაის კულტურის გაშენება-განვითარებისათვის, როცა ახალ მეურნეობას ეყრებოდა საფუძველი, მაშინ იქ ბატონ შოთა ლემონჯავას ვაჟი გურამი მუშაობდა ბრიგადირად, შემდეგ უბნის აგრონომად. მან შესაშური შრომისმოყვარეობა და მამის საქმის ერთგულება გამოავლინა და 1978 წელს ამავე მეურნეობის დირექტორად დაინიშნა. 1983 წელს მისი ინიციატივით მეურნეობაში აშენდა ჩაის მიკროფაბრიკა. ჩვეულებრივი ტიპის ჩაის მეურნეობიდან მან შექმნა ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის აგროსამრეწველო კომბინატი, რომელიც დღეს რაიონის ეკონომიკისათვის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერიაა. ბატონმა გურამმა თხუთმეტი წელიწადი ღირსეულად ზიდა მეურნეობის ხელმძღვანელის მძიმე ჭაპანი, უანგაროდ იმსახურა სოფლის, რაიონისა და რესპუბლიკის საკეთილდღეოდ. უკვე ერთი წელიწადია, რაც შეწყდა ამ შესანიშნავი წინამძღოლი მეურნე კაცის გულისცემა.

როცა აგროკომბინატის წინამძღოლის დანიშვნის დრო დადგა, ლესიჭინელებმა არჩევანი გურამის შუათანა ვაჟზე ვახტანგ ლემონჯავაზე შეაჩერეს, მათ სურვილს მხარი დაუჭირეს ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელებმა.

პროფესიით ექიმს, არასოდეს აზრადაც არ მოსვლია სამკურნალო დაწესებულების მიტოვება და სხვაგან ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზე გადასვლა, თანასოფლელებისა და მამის კოლექტივის დაჟინებულ თხოვნას ვერ გავექეციო, მითხრა ახალგაზრდა დირექტორმა, ვახტანგი ადრე თბილისის ონკოლოგიურ ცენტრში გულ-მკერდის ქირურგად მუშაობდა და პარალელურად ასპირანტურაში სწავლობდა. მისი სოფელში, თანაც სრულიად უცნობ დარგში სამუშაოდ ჩასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მამამისის წლობით ნაფიქრალ-ნაშენი კომბინატის შენარჩუნება იყო. სწორედ ვახტანგის პრინციპულობისა და კოლექტივის ერთსულოვნების შედეგია ის, რომ სახელმწიფო საწარმო იმ განუკითხაობისა და ქაოსის პერიოდში დარბევასა და გაჩანაგებას გადაურჩა. მართლაც, მისასალმებელია ამ ახალგაზრდა მეურნე კაცის გულმოდგინება, მუყაითობა, მოვალეობისადმი ერთგულება.

ვახტანგ ლემონჯავა არც ჰიპოკრატეს ფიცს ღალატობს, პარალელურად ხელმძღვანელობს სოფლის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას, თავის პაციენტებს ხშირად უფასოდ უზრუნველყოფს დეფიციტური წამლებითა და პრეპარატებით.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ". საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქვეყნო ფიქრი

მთავარი ბრძოლები წინაა...

(დასასრული)

ალეთი საშიში ნაღმია მეცნიე- ე სამოსელში გახვეული მზა- ული პოლიტიკური ჩანაფიქ-

თუ ჩვენ არ გავმიჯნეთ მეცნი- ული კვლევის შედეგები დღე- ნდელი პოლიტიკური რეალო- საგან, მომავალში საქართვე- ოში, და არა მარტო საქართ- ლოში, ბევრი სისხლი დაიღვ- ბა.

მეოცე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძრაობის ისტორია, ლოგი- ური გაგრძელებაა მეცხრამეტე უკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ჯერ კი- დასაწერია. ამ მოძრაობას ავს თავისი გმირები და თავისი ჩრები, თავისი თავდადებულნი თავისი მოღალატენი, თავისი ოვოკატორები, თავისი ექსტრე- სტები, თავისი უარმყოფელნი ასე შემდეგ. ერთის შეხედ- თ, ყველა მოქმედი პირი ამ ოძრაობისა ერთ მდინარეში იყო ქცეული, ერთ ისტორიულ ყა- იბში, მაგრამ სხვაგვარად ავლე- ა თავს, სხვადასხვა მიზანს ემ- სახურებოდა, სხვადასხვა სტიმუ- ი განსაზღვრავდა მის საქმიანო- ბას.

ახლა მკაფიოდ ჩანს სხვადასხ- შრეც ამ საქმიანობისა, ხში- ად წინააღმდეგობრივიც: ერო- ულ-განმათავისუფლებელი მო- რაობის განმანათლებლური მიმა- თულება, ეროვნულ-განმათავი- ლებელი მოძრაობის დისიდე- ური მიმართულება, ნაციონა- სტური მიმართულება, ექსტ- ემისტური მიმართულება, ფა- სტური მიმართულება, რადიკა- ური მიმართულება, პრაგმატუ- ი მიმართულება, დამანგრეველი მართულება, აღმშენებლობითი მართულება, რომანტიკულ-მი- ოლოგიური მიმართულება, ეგო- სტური მიმართულება, კრიმინა- ური მიმართულება და ა. შ.

ხშირად ესა თუ ის მიმართუ- ება ერთმანეთთან დაკავშირე- ულია, ერთმანეთთან გადახლა- თულია არა მარტო ამა თუ იმ არტიისა თუ ადამიანთა ჯგუფის ზროვნებასა და ქმედებაში, არა- ედ ამა თუ იმ პიროვნების აზ- როვნებასა და ქმედებაში და პი- როვნულ ბიოგრაფიაშიც.

ასე რომ, ხელაღებით ცაში აყ- ანა ამ მოძრაობისა და მისი მო- ვაწეებისა, ისევე, როგორც ლაფებით ლანძღვა, არც გონი- რულია და არც ზნეობრივი.

ჩემთვის მიუღებელია ეროვ- ულ-განმათავისუფლებელი მოძ- რაობის ხელაღებით გაქილიკება, სევე როგორც ნებისმიერი პი- როვნების ლანძღვა და შეურაც- ყოფა საკუთარი პოლიტიკური უ სხვა რამ მიზნების დასასაბუ- თებლად და მისაღწევად.

ეს ბოლშევიკური სტილი, უფ- რო სწორად, ელემენტარული აღ- ესიული უზრდელობა ბოლო ოთი წლის მანძილზე ჩვენი ყო- ვე მთავარ დამახასიათებლად ქცა. ყველას და ყველანაირად ანძლავენ — კონკრეტულად ზოგადად. ლანძლავენ სახელ- წიფოს მეთაურს, ლანძლავენ ინ- ტელიგენციას, ლანძლავენ პარტი- ებსა თუ პოლიტიკურ მოძრაო- ებს, ლანძლავენ ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ პატარას...

ლანძლავენ პარლამენტში, ლან- ლავენ გაზეთებში, ლანძლავენ რილობაზე, ლანძლავენ რადიოსა ა ტელევიზიაში და არავინ ფი- ობს, რომ ამ ლანძღვა-გინებას ხვებიც უსმენენ, დიდი და პა- არა, რომ ეს ლანძღვა-გინება იდ გაბოროტებად შემოუბრუნ- ება საზოგადოებას (თუმცა, რა- ა შემოუბრუნდება, როცა სწო- ედ ლანძღვა-გინების, უზრდე- ობისა და შინაგანი გაბოროტე- ის შედეგია, რაც დღეს გვჭირს).

შეიძლება და აუცილებელიც რის ამა თუ იმ შეხედულებათა კრიტიკა, თუნდაც ნათქვამის უკ- ეთ და სრულად გააზრების მიზ- ით, მაგრამ დაუშვებელია პირო- ნების დამცირება და საზოგადო- ებრივი განაჩენის გამოტანა მა- მინ, როცა საზოგადოებას ეს შე- თვის არ დაუვალებია.

აზრი უნდა დაუპირისპირდეს აზრს და არა პიროვნება —პიროვნებას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არც გუშინ დაწყებულა და არც დღეს შეწყდება. შემოსამტკიცებელია აფხაზეთი და შიდა ქართლი, ასაშენებელია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო, დასაცავია ქვეყანა და ქვეყნის ინტერესები, მისი ტერიტორია,. ეკონომიკა, კულტურა, ეროვნული ცნობიერება არა მარტო ესენგესა და მეზობელი ქვეყნებისგან, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, უშორესი ქვეყნის კულტურული თუ ეკონომიკური ექსპანსიისაგანაც, რადგანაც ყველა სახელმწიფოს თავისი მიზნები აქვს ისტორიაში, თავისი ეგოისტური ინტერესები და ყველა ქვეყანას, მათ შორის ჯერ კიდევ ფეხგაუმაგრებელ ქვეყანას — საქართველოს, მუდმივად სჭირდება ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა წინ მოგველის. ბრძოლა შრომით, ბრძოლა გონებით, გამჭრიახობით, ზნეობით, ნიჭით, სიყვარულითა და სიმართლით. ასე რომ, ბრძოლა არ დამთავრებულა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არათუ არ ამოუწურავს თავისი პოტენციალი, არათუ დაკარგა მიზანი, არამედ სწორედ ახლა უნდა იბრძოლოს მან თავდადებით, გონივრულად და შორს გამიზნულად.

მთავარი ბრძოლები წინ მოგველის.

ბრძოლები არა მარტო სხვებთან, არამედ საკუთარ თავთანაც. იმ ბევრ ცდუნებასთანაც, რომელსაც ბევრმა ჩვენგანმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვერ გაუძლო.

ამ დროს ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობის პრიორიტეტული მიმართულება ერისა და პიროვნების ზნეობრივი ამაღლება და სულიერი განწმენდა უნდა იყოს. პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვნებებს აყოლილებმა, ჩვენ ყველამ, დავივიწყეთ, რომ რაც გვჭირს, პირველ რიგში უზნეობისგან გვჭირს, ყველაფრისთვის ვიბრძვით, ზნეობრივი ამაღლებისთვის კი არა. ასე არაფერი გამოვა.

რაც უნდა იყოს, ხალხი მოითმენს სიცივეს, ხალხი მოითმენს შიმშილს, მაგრამ ვერ მოითმენს უზნეობას. ისტორიას დააკვირდით — ხალხის ბოლმის გადმონთხევის უშუალო მიზეზი უმეტესად მმართველთა უზნეობა ხდება.

არ არის გამორიცხული, რომ ხალხმა ველარ მოითმინოს ის ადამიანები ხელისუფლებაში, რომლებიც არ ცხოვრობენ ღატაკი ქვეყნის ღატაკი ხელისუფლის ცხოვრებით, რომელთა პატიოსნება ეჭვს იწვევს, რომლებიც გამდიდრდნენ ხალხის ხარჯზე.

ყოველივე ამაზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ კულუარებში, არამედ ოფიციალურ შეკრებებზეც. საზოგადოებაში კითხვა დაისვა და კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. რადგან ჭორი თუ პრიმადონასათვის სასურველი რეკლამაა, ხელისუფლებისთვის მდგომარეობის დესტაბილიზაციის არასასურველი მიზეზი გახლავთ.

ჩვენი ხელისუფლების, მთავრობის წევრებისა თუ პარლამენტარების შესახებ, ძველებსა თუ ახლებზე, ბევრს ჭორაობენ, ბევრს ლაპარაკობენ — ტყუილსა თუ მართალს. ბევრი რამ პრესაში ითქვა, ბევრი ყრილობებზე, ბევრი პარტიების შეკრებებზე, ბევრიც პარლამენტში და მაინც ყველაფრის დაჯერება შეუძლებელია, იმდენად ბინძური და მიუღებელია ყველაფერი. თუ გვინდა, რომ ყველამ ნორმალურად აკეთოს თავისი საქმე, დროა ასეთ ლაპარაკს წერტილი დაესვას, ყველა უსაფუძვლო ჭორის კვალიფიციური განმარტებითა და დამაჯერებელი უარყოფით.

გულწრფელად და ხაზგასმით ვადასტურებ: პატივს ვცემ და ვემორჩილები დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტს, რადგან ის ხალხის არჩეულია თავისუფალი და მრავალპარტიული არჩევნებით, პატივს ვცემ და ვემორჩილები დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, რომელიც ასევე ხალხის მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაურის მიერ არის შედგენილი, ვემორჩილები ერთსაც და მეორესაც კიდევ იმიტომ, რომ მე კანონმოშიში, კანონის მიმდევარი ადამიანი ვარ... და სწორედ იმისთვის, რომ ერთსაც და მეორესაც კვლავაც ვცემდე პატივს და ერთსაც და მეორესაც კვლავაც ვემორჩილებოდე და ამ შიმშილისა და სიცივის გაძლება რომ შევძლო, ორიოდე კითხვაზე მინდა პასუხი გამცენ ასევე ჩემთვის მეტად პატივცემულმა ახლანდელმა თუ ყოფილმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა ტელეფონით, არა პირად საუბარში, არამედ საჯაროდ, იმავე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით, რომელშიც იბეჭდება ჩემი ეს შეკითხვები, რადგან ყოველივე ეს მარტო მე კი არა, არამედ უსინათლობით, უწყლობით, შიმშილითა და სიცივით განაწამებ ხალხსაც აინტერესებს.

1) შარშან, თუ არ ვცდები, ორასი მილიონი დოლარით დაგვეხმარა ამერიკის შეერთებული შტატები, სამიცდაათი მილიონი ეკიუთი დაგვეხმარა ევროპის გაერთიანება, გარკვეული თანხებით დაგვეხმარნენ სხვა ქვეყნებიც... დიდი მადლობა მათ ამისთვის... ღმერთი გადაუხდის... **მაგრამ სად და რაში დაიხარჯა ეს ფული? ვინ და როდის შეამოწმა ეს ყოველივე?**

2) ღმერთმა მდიდრები გვიმრავლოს, ღმერთმა შეარგოს ყველას პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული, მაგრამ ნუთუ ძნელია, ჩვენმა დამშეულმა აკადემიკოსებმა და პურის რიგში განაწამებმა უბრალო ხალხმა ვიცოდეთ — **ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენელთაგან ვინ იყიდა უცხოეთში სახლები და რით? ვისა აქვს სავალუტო ანგარიშები უცხოეთის ბანკებში და საიდან?**

3) უცხოეთში რომ გაიზიდა საქართველოს სიმდიდრე — სპილენძი, ხე-ტყე, მადნეული, ძვირფასეულობა, ხელოვნების ნიმუშები და კიდევ, კაცმა არ იცის რა, და ახლა რომ უკვე ალუმინის მავთულებიც გააქვთ, **როგორ და რატომ დაიბრმავა თვალი და დაიყრუა ყური ჩვენმა საბაჟომ, პოლიციამ და ყველა იმან, ვისაც ასი თვალი და ასი ყური უნდა ებას?**

4) **როდის შეწყდება ჰუმანური ტვირთის ძარცვა-გლეჯა ფოთიდან ახალქალაქამდე? დანიშნულების ადგილებამდე რატომ ყოველთვის არ აცილებს ჰუმანურ ტვირთს პოლიცია?**

5) **რატომ არ არის დღემდე გამოვლენილი და სამაგალითოდ დასჯილი, ვინც ელექტროენერგიითა თუ პურის საბოტაჟით მასხრად იგდებს ხალხს და უკიდურესობამდე მიჰყავს ადამიანები ერთი მიზნით — სისხლიანი აფეთქება გამოიწვიოს საზოგადოებაში?**

6) **რა გაკეთდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებში შემოგზავნილი უცხო ქვეყნების აგენტურის გამოსავლენად და გასაუვნებელად? რატომ არის დღემდე გასაიდუმლოებული უცხო ქვეყნების დღეს მოქმედ აგენტთა ვინაობა? და განსაკუთრებით იმათი, ვინც ხელისუფლებაში მოვიდა ან იბრძვის მოსასვლელად?**

აქვე ხაზგასმით იმასაც ვიტყვი, ოცდაათი წლით მაინც უნდა დაიხუროს იმ აგენტთა სიები, რომლებიც ცოცხალი აღარ არიან, რადგან მათ აღარ ძალუძთ თავის მართლება.

კითხვები სხვაც ბევრია, მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა მხოლოდ ამათზე გთხოვთ პასუხის გაცემას.

●

— ფლავი გათავდა, — თქვა მოლა ნასრედინმა.

— მაშინ თეფშები აღარ დაგჭირდება, — უთხრეს სტუმრებმა და თეფშები დაითითოვეს.

— არც ქვაბი დაგჭირდება,— თქვა უთეფშო სტუმარმა და ქვაბი დაითრია.

„ფლავი გათავდა"... — არ ეძებოთ ეს ნოველა მოლა ნასრედინთან. პირველი ფრაზა ცოტნე ჩხიკვიშვილს ეკუთვნის, ცნობილ ნევროპათოლოგს, დანარჩენი — მე. თუმცა, ამ ტრაგიკომიკური ნოველის დასასრული ჯერ კიდევ დასაწერია და ეტყობა, მას სხვა ავტორი ეყოლება— უკომპრომისო რეალობა.

ფლავი გათავდა, ხალხო, მშივრების გეშინოდეთ!

მე ვიცნობ პარლამენტარებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რომლებსაც შიათ და „პრიმის" ფულიც არა აქვთ და მათ მეუღლეებს მხოლოდ ნიშნობის ბეჭედი შერჩათ ხელზე.

ასეთებიც არიან!

ეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის სირცხვილი იქნებოდა, მაგრამ ნამდვილი და პატიოსანი საქართველო ეს გახლავთ.

ღატაკ ქვეყანას ღატაკი ხელისუფალნი უნდა ჰყავდეს.

სხვაგვარად ყველა ერთად დავიღუპებით — მდიდარიცა და ღარიბიც, ქურდიცა და გაქურდულიც.

შეიძლება ეკონომისტებს გაეღიმოთ ჩემს დილეტანტურ წინადადებაზე, მაგრამ თუ ხელფასით მაცხოვრებელი კაცის აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, მე მგონი, საქართველოში უსწრაფესად უნდა გამოცხადდეს **საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობა**, დადგინდეს ადამიანის არსებობისათვის აუცილებლად საჭირო საქონლის (პური, ცხიმი, მარილი, ასანთი, სანთელი, საპონი, საწვავი) ნუსხა, რომელიც მხოლოდ კუპონით გაიყიდება, გამოყენებული იქნას საქართველოსთვის მიღებული სესხი ამ საქონლის შემოსატანად, შეძლებისდაგვარად გადიდდეს ამ ჩამონათვალის ნუსხა, ასევე, შეძლებისდაგვარად, გაიცეს ეს ყოველივე ტალონებით, თუკი ამ ტალონების დასაქონლება მოხერხდება.

მე ათას მადლობას ვეტყოდი იმ მთავრობას, რომელიც ამას მოახერხებდა.

●

დღეს მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი დიდი გადანაწილება.

დემოკრატიასა და სამართლიანობაზე მაღალი სიტყვების უკან, მსოფლიოს დიდ დედაქალაქებში ხდება გადანაწილება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო გავლენის სფეროებისა, სამწუხაროდ, პატარა დედაქალაქები აქ გადანაწილების ობიექტები არიან და არა სუბიექტები, მაგრამ მათ მაინც შეუძლიათ ბრძოლა სწორედ დიდი დედაქალაქების ინტერესთა დაპირისპირებულობისა თუ თანხვდომის გათვალისწინებით....

ზოგი ახერხებს ასეთ ბრძოლას, ზოგი — ვერა.

ახერხებს ის, ვისაც გააზრებული აქვს ეს ყოველივე და შინაგანი მთლიანობით მყარად ადგას გონიერ ხელისუფალთა არჩეულ კურსს.

დიდი გადანაწილება წარმოებს თავად საქართველოშიც, ქვეყნის შიგნით — სახელმწიფო ქონების გადანაწილება მაქვს მხედველობაში, ფარული, ღია, ყაჩაღური, გონივრული, უჭკუო და ასე შემდეგ.

ჩვენი, ყველას ქონებას ინაწილებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენთვის არაფერს ქმნიან, სარგებლობენ მდგომარეობით, ფულით, ნაცნობობით, ნათესაობით და ფაქტობრივად იტაცებენ ყველაფერს, იმას, რაც ჩვენ, ყველას გვეკუთვნის.

კანონი, რამაც უნდა აკრძალოს ეს პროცესი, არ არსებობს,

ვინც უნდა შეაჩეროს ეს ძარცვა-გლეჯა — პარლამენტი, თუ ხელისუფლება არაფერს არ აკეთებს, რადგან ბევრს, უმრავლესობიდან თუ უმცირესობიდან თავად აქვს ჩაყოფილი თათი ქვეყნის დოვლათში და უსინდისოდ ძარცვავს ქვეყანას, ყოველ ჩვენგანს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს...

ეროვნული ლოზუნგების მიღმა, საქვეყნო პრობლემებზე პოპულისტური საუბრების უკან იმალება წვრილმანი, ეგოისტური, მძარცველური ინტერესები...

ჯერ კიდევ 1989 წელს ვწერდი ამ საშიშ ტენდენციაზე, ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებულ შარაგზის ყაჩაღებზე, რომელთა თარეში დაგვაშორებდა რეალურ დამოუკიდებლობას, დაანგრევდა ქართულ სახელმწიფოებრიობას.

აკი ასეც მოხდა...

მე გამქურდეს, სასტიკად, ცინიკურად და შორსგამიზნულად.

დიდად დავალებულმა მეზობელმა რომ გაიტანა თვეების მანძილზე, რაც კი რამ ღირებული გვქონდა სახლში, იმაზე არ მოგახსენებთ, ყველასთან ერთად და ქვეყნის დასანახად, რომ გაგვქურდეს ყველა ერთად, ის მაქვს მხედველობაში.

ჯერ იყო და სახელმწიფოს კუთვნილი და ამდენად, ყველასათვის საერთო ქონება, საბინაო სახელმწიფო ფონდი მოსახლეობის ერთ ნაწილს, ფაქტობრივად უფასოდ მისცეს. არადა, იქ ხომ ყველას ფული იყო ჩადებული, მათ შორის იმათიც, ვისაც არასდროს მიუღია უფასოდ ბინა და ვერც მიიღებს? რა დააშავა მოსახლეობის ამ გაქურდულმა ნაწილმა?

მიწა, რომელიც სახელმწიფოსი და ამდენად ყველასი იყო, ასევე ფაქტობრივად უფასოდ დაურიგეს მოსახლეობის ერთ ნაწილს, რომელსაც შეიძლება ახლა მიწის გაყიდვის უფლებაც მისცენ და ის, ვისაც საფლავის მიწაც არ მიუღია, ამ ჩუქება-გაყიდვისაგან ვერასდროს კაპიკსაც ვერ მიიღებს.

წყალი, ანუ ბორჯომი, რომელიც სახელმწიფოსი, ანუ ყველასი იყო, ვიღაც-ვიღაცეებმა კაპიკებად დაითრიეს და მისი ყიდვა-გაყიდვით მე და თქვენ არაფერი მიგვიღია და ვერც მივიღებთ, ერთ ბოთლ ბორჯომსაც კი.

მომპარეს:

სახელმწიფოს კუთვნილი შენობები, უსწრაფესად რომ დაითავისეს პარტიებმა, ინსტიტუტებისა და შემოქმედებითი კავშირების ბინები, კერძო პირებისაც....

სანატორიუმები, სასადილოები, კაფეები, წიგნის მაღაზიები, გასტრონომები...

მანქანა-დანადგარები, ტაქსები, ფერმები, მეურნეობანი..

ღვინო, არაყი, კონიაკი, შამპანური...

ეს ყველაფერი სახელმწიფოსი იყო, ჩვენი, ყველასი. ისიც სადღაც გაქრა, ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ისევე, როგორც გაქრა ჩვენი ეროვნული სიამაყე — ლაღიძის წყალი...

არავის არ წაუღია, მაგრამ დაიკარგა თბილისის გოგირდის წყალივით...

ეს ყველაფერი გაქრა და ჩვენ იმ მეფე ლირს დავემსგავსეთ, რომელსაც სამათხოვროდ გაუწვდია ხელი და მისგან გამდიდრებულ შვილებს თავს აბეზრებს...

ბოლოსდაბოლოს, რაც კაპიტალისტურ ქვეყნებს, კერძო საკუთრების კლასიკურ ქვეყნებს, არ გაუკეთებიათ, იმას ნუ ვიზამთ — რასაც შემოსავალი შემოაქვს, რაც ზარალიანი არ არის, ის სახელმწიფომ არ უნდა გაყიდოს, არც გააჩუქოს და არც გაანიავოს, რადგან ეს ყველაფერი ყოველი ჩვენგანის კუთვნილებაა და სააქციო საზოგადოებად მაინც იქცეს, რომ ყოველ ჩვენგანს შეეძლოს კვლავ მესაკუთრედ დარჩეს საერთო-სახალხო ქონებისა, ან ისე მაინც გაიყიდოს, რომ რაღაც რეალური ერგოს სახელმწიფოსაც და ჩვენც, ამ სახელმწიფოს მემკვიდრეობით პატრონებს.

დადგა დრო, ბოლომდე გაირკვეს, ვინ რა დაითრია და ყველაფერი დაუბრუნდეს ხალხს ექსპლოატაციისა და განკარგვის წილობრივი უფლებით.

ბოლოს და ბოლოს, მართლა ავტომატი ხომ არ უნდა აიღოს კაცმა ხელში? განა არ გვეყო ქართველებს ერთმანეთის ხოცვა?

მაგრამ ჩვენი დანაკარგები მარტო მატერიალური სფეროთი არ მთავრდება, უფრო დიდსა და მნიშვნელოვანს ვკარგავთ, ეროვნულ სახეს, რაც უპირველესად ქართული ენის ხელყოფაში ვლინდება.

პარადოქსია, მაგრამ დამაფიქრებელი და საგანგაშო ფაქტი— ტენდენცია: ამდენი „ეროვნულის" გვერდით საოცრად შეირყვნა და დამახინჯდა ქართული ენა.

საქართველოს ტელევიზია და რადიო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ჟურნალისტები ხშირად არაფრად დაგიდევენ ქართული ენის სიწმინდეს, მის ღირსებას, მის დამოუკიდებლობას... რუსულით პროვინციული თავმოწონება შეცვალა ინგლისურით კოკობზიკობამ... ნუთუ ამ პროვინციულობაშია ჩვენი დამოუკიდებლობისა და ევროპისკენ სვლის არსი? ნუთუ გვგონია „მაგაზინის" ნაცვლად „შოპი" რომ დავაწერეთ დუქნებს, ევროპაში გავედით? ეს ავადმყოფობა ისეთ გემოვნებიან ტელეგადაცემებსაც გადაედო, როგორიც არის „ტაიმ-აუტი", „მონიტორი" და „საღამო მშვიდობისა", ერთხანს „მაცნეც" კი ინგლისურობდა, ხოლო ახლა მეხუთე სტუდია იხლიქავს ინგლისურად ენას. რა ხდება? იქნება სჯობს, რომ ამერიკელისა თუ ევროპელისგან შრომის, პარლამენტური პაექრობისა და ყოფის კულტურა შევითვისოთ, ხოლო ფრანგებისგან საკუთარი ენის მოფრთხილების შესაშური უნარი და დამოუკიდებლად ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ?

ქართული ენა შეირყვნა, ქართულ ენას დაცვა სჭირდება, ისევე როგორც ქართულ მსოფლაღქმას, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი ტელევიზიების წყალობით საკუთარი სახის წაშლა, ეროვნულობის დაკარგვა ემუქრება.

მეტიც, ნაწილობრივ დაკარგა კიდეც.

როცა აზერბაიჯანი დსთ-ში შევიდა, მაშინ ცხადი გახდა, საქართველოსაც არ ასცდებოდა ეს ნაბიჯი. კავკასიის წრე, ისევე როგორც 1921 წელს, უნდა შეკრულიყო — სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო.

ვთქვი კიდეც ეს მაშინ.

ჩვენ ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცის ტყვეები ვართ.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტყვეს არ ძალუძს ტყვეობიდან თავის დახსნა.

ამისთვის დრო, პირობები და ცოტა იღბალიც არის საჭირო.

თანაც, თავად ტყვის მზადყოფნა და სურვილი ტყვეობიდან თავის დაღწევისა.

რაკიღა დსთ-ში შევედით, პატიოსანი წევრი უნდა ვიყოთ ამ გაერთიანებისა, პატიოსანი პარტნიორი ყოველ გარიგებაში და ასევე პატიოსნება მოვითხოვოთ ჩვენი პარტნიორებისგან, პატიოსნად გავითვალისწინოთ მათი ინტერესები და ისინიც ვაიძულოთ გაითვალისწინონ ჩვენი ინტერესები, ვეცადოთ, თუკი ეს შევძელით, დსთ იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი და არა ერთი ქვეყნის კარნახს დაქვემდებარებულ სატელიტთა მორჩილი გაერთიანება.

ყოველივე ამისათვის ჯერ ჩვენ უნდა დავდგეთ ფეხზე, ავმაღლდეთ და გავძლიერდეთ, სახელმწიფოებრივად, ზნეობრივად, ეკონომიკურად.

ბოლოს და ბოლოს ჩვენ ახლა უფლებრივად ბევრად სხვანი ვართ, ვიდრე საბჭოთა ეპოქაში ვიყავით, თუნდაც ერთი საფეხურით სხვანი.

●

და მაინც...

ყველა სიტყვა, ყველა პოლიტიკური ნაბიჯი, ყველა იმედი ქარწყლდება, როცა აფხაზეთში ხოცავენ ქართველებს, როცა უმწეობისა და ბოღმისგან გული სკდება და არ იცი, რა ქნა...

თუმცა, როგორ არ იცი, უნდა იბრძოლო და თუ გეომებიან, უნდა იომო...

დროა, ჩვენმა პრესამ და კერძო თუ სახელმწიფო ტელე-რადიო სამსახურმა გაითავისოს, რომ საქართველოში მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო სამამულო ომი და ამის შესაბამისად იღვაწოს.

არ შეიძლება ერთი ქართველი აფხაზეთში მიდიოდეს საომრად, მეორე — საზღვარგარეთ —საგრიალოდ.

მესმის, რომ რეკლამას დიდი ფული შემოაქვს, როგორც კოლექტივისთვის ისე, კონკრეტული პიროვნებებისათვის, მაგრამ ომს ვერ იგებს ის ქვეყანა, სადაც პროპაგანდა მხოლოდ იმას ისახავს მიზნად თუ, ვის დააბრალოს ესა თუ ის მარცხი, და რომელ დროსტარებასა თუ კაი პურის ჭამას გაუწიოს რეკლამა.

ჩვენი ქმედება ამ მიმართულებით უჭკუო და დანაშაულებრივია.

ადიდეთ ჯარისკაცი, რომელიც იბრძვის ჩვენს გადასარჩენად!

უმღერეთ ქვეყნისთვის გმირულად დაღუპულთ და ნუ შეუკრთობთ გულს მომავალ გმირებს ომის საშინელებით.

შეაჩვენეთ მტერი — რომელიც გვებრძვის!

მეტი არაფერია საჭირო.

მე არ მოგიწოდებთ სიძულვილი იქადაგოთ, სიყვარულს უმღერეთ! მთავარია სიყვარული საკუთარი ხალხის, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ჯარისკაცის, საკუთარი მოღვაწეების, საკუთარი ხელისუფლების, საკუთარი საქმის, საკუთარი ოჯახის, ბოლოს და ბოლოს... რომ ადამიანს მოუნდეს ამ ყველაფრის დაცვა, რომ ადამიანმა შინაგანი მზადებით იბრძოლოს ამ ყველაფრისთვის...

ჩვენს მოსაგებ ომს სხვა ვერ მოიგებს.

აფხაზეთსა თუ შიდა ქართლში ჩამოთესლილი მოძალადეები საკუთარი სურვილით იქიდან არ წავლენ.

გაეროც უფრო სწრაფად ვერ გაირჯება, მას სხვაგვარადაც არ ძალუძს, მით უფრო, როცა ჩვენი პარლამენტი თვითონვე ქმნის პოლიტიკურ სირთულეებს.

ისიც სათქმელია: პოლიტიკა მაშინ არის ძლიერი, როცა მას უკან ძალა უდგას.

ჩვენ ბოლომდე, უკანასკნელ ცდამდე, უნდა ვიღვაწოთ აფხაზეთისა და შიდა ქართლის მშვიდობიანი დაბრუნებისათვის და ყოველმხრივ ვიყოთ მზად დიდი ომისთვისაც, იმ ომისთვის, რომელსაც თავს გვახვევენ, მაგრამ რომელშიც დამარცხება, დათმობა ჩვენი, ასაშენებელი სახელმწიფოს დაშლის დასაწყისად იქცევა.

არც ფული უშველის ამ დროს არავის და არც უცხოეთში ოჯახის გახიზვნა.

ამ სიტყვებს კოდორის ხეობის მძიმე სამხედრო ინფორმაციის ფონზე ვწერ.

არ ვიცი იქ როგორ დამთავრდება ყველაფერი.

ყოველი ჩვენგანი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, უნდა იყოს მზად....

ქართველებს სხვა გზა აღარა გვაქვს.

კობა იმედაშვილი.
1994, მარტი.

მინაწერი:
გუშინ, ოთხ აპრილს, მოსკოვში ხელი მოეწერა ოთხი მხარის განცხადებას და შეთანხმებას. ამ დოკუმენტებზე გაკვრით საუბარი არ შეიძლება, თანაც ჯერ ექსპერტებს უნდა მოვუსმინოთ...

ერთი რამ კი უდავოა, თუ წლეულს ლტოლვილები არ დავაბრუნეთ აფხაზეთში და მათ დასაცველად გაეროს სამხედრო ძალა არ შევიყვანეთ, აფხაზეთის დაბრუნება და აფხაზეთში დაბრუნება მეტად საეჭვო გახდება.

მთავარია ახლა ყველამ ვივარგოთ, ბევრად ძნელ ბრძოლაში დავიცვათ ის, რაც მარტო ჩვენი კი არა, ჩვენი შთამომავლობისაა.

ასე რომ, მთავარი ბრძოლები წინაა...

კ. ი.
5 აპრილი, 1994 წელი.

ABB

«არაგვი ბიზნეს ბანკმა»
განაახლა
სავალუტო
კრედიტების
გაცემა
თვიური 20-25 პროცენტის დარიცხვით.
კრედიტი გაიცემა მყარი
გარანტიით.

მოგვაკითხეთ ძველ მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, № 4.
ტელ: 99-82-23, 93-25-94
15დან 17 საათამდე.

ABB

თუ გსურთ დაიცვათ პერსონალური კომპიუტერი
დაზიანებისაგან და განაგრძოთ მუშაობა
კომპიუტერთან ელექტრო ქსელში ძაბვის გადახრების
ან სრული გათიშვის შემთხვევაში, შეიძინეთ
გარანტირებული კვების აგრეგატი
«კომპი —UPS 1».
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
23-71-38; 23-71-39.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
ფირმა «დილერი»
იღებს ანაბრებს ამერიკულ
დოლარებში:
1 თვით 13 %
2 თვით 15 % თვეში
3 თვით 17 % თვეში
დაწვრილებითი ცნობებისათვის
მიმართეთ მისამართზე: სასტუმრო
„აჭარა". ოთახი № 106.
ტელ: 98-53-59, 36-92-36

ავტომოყვარულთა
და
ავტოსატრანსპორტო
საწარმოთა
საყურადღებოდ!
სააქციო საზოგადოება „ია"
აწარმოებს თხევადი გაზის
მოწყობილობის დამონტაჟებას
მსუბუქ და სატვირთო
(ბენზინზე მომუშავე)
ავტომანქანებზე როგორც
ნაღდ ანგარიშზე ისე
გადარიცხვით.
ამასთან საზოგადოება
ფულის შემოტანის დღიდან
ერთი წლის გასვლის შემდეგ
გაზის მოწყობილობაზე
გადახდილ თანხას პატრონს
უბრუნებს უკან იმ სახის
ვალუტით, რომლითაც
შემოიტანა.
დაწვრილებითი
ცნობებისათვის მიმართეთ
სააქციო საზოგადოება „ია"-ს
გამგეობას 10-დან 13
მოე მისამართზე:
მე-4-ე
№ 5,6
-68,
17-დან
დაუკავშირდით
ტელეფონებზე 38-74-44,
35-38-56, 34-46-11.

ინფორმაცია

აღრმავებენ ურთიერთობას

საქართველოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის წერილი ბულგარეთის პრეზიდენტის ჟელიუ ჟელევისადმი, რომელშიც გამოთქმულია სურვილი განვითარდეს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, გადასცა სოფიაში მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ დღეს ბულგარეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელთან სტანისლავ დასკალოვთან შეხვედრაზე.

საუბრის დროს მათ განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები. გააანალიზეს მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, ურთიერთთანამშრომლობას მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა რადკო ვლაიკოვმა განაცხადა, რომ დღესვე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ტოდორ ჩუროვმა და მიხეილ უკლებამ ხელი მოაწერეს ოქმს ბულგარეთისა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა შორის თანამშრომლობის შესახებ.

გაქურდეს „ორბი"

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 4 აპრილს საღამოს საათებში ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე სასურსათო მაღაზია „ორბი".

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ თამაზ ტატიშვილმა განაცხადა, რომ ა. წ. 1 თებერვლიდან სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების პედაგოგებს სამჯერ გაეზარდათ ხელფასი და დღეისათვის იგი საშუალოდ 800.000 კუპონს შეადგენს.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ ბოლო დღეებში კუპონის ერთჯერადი უმნიშვნელო გამყარება გარკვეულწილად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ქმედებათა და მოსახლეობაში იმედის გაჩენამ გამოიწვია. ამას ერთვის საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიებანიც.

ვიცე-პრემიერმა აგრეთვე, აღნიშნა, რომ ეკონომიკაში „ქამრის მოჭერის პოლიტიკა" აღარ გამოდგება. უნდა მოხდეს ხელფასების ინდექსაცია. სწორედ ამ პროგრამაზე მუშაობს საქართველოს მინისტრთა კაბინეტი.

თბილისი. თბილისის მერიის ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განიხილება თბილისის მიწათსარგებლობის [illegible] ტიპის საბაზრო სისტემაზე გადასვლა. თბილისის მერიის მიწის რესურსების სამმართველოს [illegible] სამსახურის უფლებამოსილება მიწის კადასტრის სამუშაოთა დაგეგმვის, ამ სამუშაოთა კონკრეტული განხორციელების, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და მიღების საქმეში.

მიწის კადასტრის გერმანულ-ქართული პროექტს [illegible] თბილისის მერიის მიწის რესურსების სამმართველოს უფროსი [illegible].

10 აპრილს, თბილისში ჩამოვიდნენ ამ პროექტის გერმანელი წარმომადგენლები.

თბილისი. მიუხედავად ქართულ-აფხაზური [illegible] ამტკიცებს, რომ ეს შეთანხმება არ უკრძალავს აფხაზეთს იქონიოს საკუთარი არმია და მიუხედავად სამშვიდობო ძალების შემოყვანისა, არ ითვალისწინებს აფხაზურ ფორმირებათა განიარაღებას.

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ", № 52-53.

3. მზიანი დილა იდგა...

> „რაკი სწრაფადვე არ ისჯება ბოროტი საქმე, ამიტომ ბედავს კაცი ბოროტების ჩადენას".
>
> ეკლესიასტე, 8, 11.

მურად ცხოვრებაძე სოხუმის ტრაგედიის დღეებში დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის დაცვის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად, რაღა თქმა უნდა, გვერდიდან არ სცილდებოდა ედუარდ შევარდნაძეს.

27 სექტემბერს ასე იხსენებს:

— ის დღე თითქოს არაფრით განსხვავდებოდა სოხუმის ყველა სხვა საომარი დღისგან. შესანიშნავი, მზიანი დილა იდგა და იყო ავისმომასწავებელი, მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმე.

დილით სახელმწიფოს მეთაურს — მთავარსარდალს წავყევით შუქურისა და რკინიგზის სადგურთან განლაგებული ჩვენი პოზიციების დასათვალიერებლად. ბატონი ედუარდი, როგორც ყოველთვის, შეხვდა მეომრებს, მათ მეთაურებს, გაამხნევა, დაიმედა, რომ სადაც არის მძიმე ტექნიკა გადმოვა კოდორს და მტერს კუდით ქვას ვასროლინებთ. საბრძოლო შემართება დიდი იყო და ძალიან ბევრს ნიშნავდა მეომრებისთვის მთავარსარდალთან შეხვედრები. ეს რომ არა, სოხუმი შესაძლოა 17-შიც დაცემულიყო.

თერთმეტის ნახევარზე, თუ თერთმეტს რომ წუთები აკლდა, შევედით მინისტრთა საბჭოში. შენობა „ავლანელებს" ჰქონდათ გამაგრებული.

ბატონი ედუარდი ელაპარაკა ჟიული შარტავას, რომელმაც მოახსენა, რომ მისი ყველა მუშაკი გამოცხადდა სამსახურში და ჩვეული რიტმით მუშაობენ.

მათი საუბარი შექმნილ მდგომარეობას შეეხო. ბოლოს ბატონმა ედუარდმა უთხრა, რომ ისევ პოზიციების დასათვალიერებლად წავიდოდა, იქიდან — კორპუსის შტაბში, სადაც ოპერატიული თათბირი იყო დანიშნული ორ საათზე თუ სამის ნახევარზე (ბატონი ჟიულიც იმ თათბირზე უნდა ყოფილიყო მიწვეული), შემდეგ უკან დავბრუნდებოდით, მგონი უთხრა ბატონმა ედუარდმა, კარგად არ მახსოვს.

იქიდან ჩვენი გამოსვლა, და უკვე შევატყვეთ, რომ მტრის ძალები უფრო ახლოს და ახლოს მოიწევდა. წითელ ხიდზე რომ გადმოვედით, რამდენჯერმე გვესროლეს, ყუმბარმტყორცნის (РПГ) ჭურვმა ჩვენს თანმხლებ „რაფს", რომელიც უკან მოგვდევდა, სულ რამდენიმე მეტრით გადაუქროლა. პოზიციებიდან შტაბში მობრუნებისას მოხდა ეს.

შტაბში მისვლისთანავე მოგვაწოდეს ცნობა, რომ მინისტრთა საბჭო ალყაშია. გაიცა განკარგულება იქ დარჩენილთა მისაშველებლად დამხმარე ძალის გაგზავნის შესახებ. როგორც ვიცი, თავდაცვის მინისტრმა ყარყარაშვილმა მოახსენა ბატონ ედუარდს, რომ იქითკენ დაიძრა მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

დანარჩენი თქვენ უკვე იცით.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო: სოხუმი სავსე იყო ჩვენი მტრებით. ჩვენი ჯარის იქ ყოფნის დროს არავინ ქალაქიდან არ გაუსახლებიათ, არავის ერჩოდნენ — არც აფხაზს, არც სომეხს, არც ბერძენს, არც რუსს, არავის. პირიქით...

გურამ ჯანიაშვილი: სპეციალური ტალონებიც კი დაიბეჭდა, რომლებიც დაურიგდა ყველა ეროვნების წარმომადგენლებს — ხელშეუხებლობის ტალონები. ყველას მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთის ოჯახის წევრები ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ.

კარგი იქნებოდა, თუ ერთი ვინმე, თუ შერჩა ნამუსის ძარღვი, წარმოადგენს ამ საბუთს და იტყვის როგორ იყვნენ დაცული.

მურად ცხოვრებაძე: ჩვენს მიერ გარანტირებულ მოსახლეობის უსაფრთხოებას მტერი ჩვენს წინააღმდეგ კარგად იყენებდა, თუნდაც საცხოვრებელ სახლებში მოთვალთვალეთა ორგანიზებული ქსელის მოწყობით.

სადაც კი მივიდოდა ჩვენი მანქანების ესკორტი, რამდენიმე წუთში გვბომბავდნენ, თანაც აშკარად ჩანდა, რომ ცეცხლის კორექტირებაც ხდებოდა, ჯერ გათოფავდნენ და შემდეგ ზუსტად მიზანს ხვდებოდა მათი ნასროლი ჭურვი. ან გამოვასწრებდით, ან დაბომბვაში მოვყვებოდით.

ჩასვლის დღესვე, 16 სექტემბერს, 23-ე ბრიგადის შტაბში მისვლისთანავე დაგვბომბეს. რამდენიმე ჭურვი ცოტა მოშორებით დაეცა, არ გასულა 15 წუთი, დაიწყო კონცენტრირებული დაბომბვა შენობის იმ ნაწილისა, სადაც ბატონი ედუარდი თათბირს ატარებდა. სასწაულით გადარჩა მაშინ. მე ჭურვის ნამსხვრევი მომხვდა მკერდში, ჯავშანჟილეტმა გადამარჩინა. იმ ოთახში რომ შევვარდით, სადაც ბატონი ედუარდი იჯდა, აფეთქებისგან ისეთი ბოლი და მტვერი იდგა, არაფერი ჩანდა. ავანთე ფანარი, შევედი, შევედი, როგორც იქნა დავინახე, სისხლის კვალი რომ არ ჰქონდა, გულზე მომეშვა — ფანჯარას მიყუდებულმა სეიფმა იხსნა, რომელიც „გრადის" ჭურვების ნამსხვრევებს დაეგლიჯა.

ხომ ცოცხალი ხართ-მეთქი, ვკითხე, ხელიც მოვკიდე: აფეთქების ხმისგან, ტალღისგან, მტვრის კორიანტელისგან ყველანი გოგნებული ვიყავით... უცებ გავიგონე სტვენის ხმა, რომელიც გამოსროლილ რაკეტას თან სდევს (გუდაუთიდან სოხუმამდე რაკეტა 7 წამს მოფრინავდა), ისევ გვესროდნენ. ბატონი ედუარდი სასწრაფოდ დერეფანში გავიყვანეთ და იმ წამსვე ზუსტი დამიზნებით ის ოთახი ერთიანად ჩამოინგრა. მეზობელ ოთახში ორი კაცი დაიღუპა.

გურამ ჯანიაშვილი: მათი მხრიდან ამ საქმეზე მაღალი კლასის პროფესიონალები „მუშაობდნენ". ვიცით, ვინც იყვნენ, ათასჯერ დაიწერა ამაზე, — რუსი სამხედრო ოფიცრები.

წინა დღით, სანამ მინისტრთა საბჭოს დასაცავად გადაგვიყვანდნენ, ჩემი ხალხით შევუტიეთ ფუნიკულიორს და მოწინააღმდეგეს სანგრებშიც კი ჩავუხტით. ყველა, ვისაც შევეჯახეთ, რუსი იყო, კაზაკები, 20 წლიდან 40 წლამდე ასაკის, რეზერვის ოფიცრები. დიდი ძალა იყო... მაგრამ არც ჩვენი მეომრები იყვნენ ახალბედები. იმ ბრძოლის მერე კიდეც ეთქვათ თურმე კაზაკებს: — ეს ავლანელები გიჟები ყოფილან, არანორმალურები, 200 კაცს 60-მა შემოგვიტია და, ცოტა დარჩა, კინაღამ გადაგვიარესო. ძალა არ გვეყო, სამწუხაროდ, იმ ბრძოლაში 4 კაცი დაგვეღუპა, 17 დაგვეჭრა. ამ ჩვიდმეტიდან თითოეულს ორი გამომყვანი ხომ სჭირდებოდა? იანგარიშეთ, რამდენი დავრჩით. ძალა აღარ გვეყო, ბოლომდე რომ გავსულიყავით, თორემ სადამდეც მივედით, შავ დღეში ჩავაგდეთ. ჩვენ და „მხედრიონი" ვუტევდით. ვინმე რომ წამოგვშველებოდა, ფუნიკულიორს დავიბრუნებდით.

ეს სიტყვამ მოიტანა.

ისე კი ჩვენი ტელეგადაცემებითაც დიდ დახმარებას ვუწევდით მტერს.

ერთ ამბავს შევესწარი.

მაშინ ცენტრალური შტაბი სოხუმში იყო. ბრძოლიდან ვბრუნდებოდით, ალყიდან გამოვიყვანეთ ერთ-ერთი ბატალიონი, ერთი ტყვეც მოგვყავს, ვხედავ, რომ პირველ სართულზე, სადაც შტაბის მთელი კავშირგაბმულობა იყო მოწყობილი, ფანჯრებიდან ოთახიდან ოთახში კაბელებს ჰქიმავენ.

ქუჩაში დგას ოპერატორი და იღებს მთელ ამ პროცესს. ოფიცრები, რა არის ეკრანზე გამოვჩნდეთო, იმის ნაცვლად, რომ დაუშალონ გადაღება, თვითონ იპრანჭებიან კამერის წინ.

გადაიცემოდა ეს კადრები ტელევიზიით და დიდი მიხვედრა არ დასჭირდებოდა იმის დადგენას, რომ ამ შენობაში შტაბია, სარდლობა იქ ზის. ამაზე უკეთეს ინფორმაციას ვერც ინატრებდა მტერი.

— 16 სექტემბრიდან, სოხუმში ბოლო ჩასვლის პირველი დღიდან, — აგრძელებს თავის სათქმელს **მურად ცხოვრებაძე,** — ბატონი ედუარდი ძირითადად მუშაობდა კორპუსის შტაბში, მინისტრთა საბჭოში და სისტემატურად გადიოდა პოზიციებზე. მინისტრთა საბჭოში გათენებამდე ვრჩებოდით, ფაქტობრივად არ ეძინა, ძილისთვის განკუთვნილ დროსაც დახურული რადიოსადგურით (ეს ერთადერთი საშუალება გვქონდა) ელაპარაკებოდა თბილისს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს. დილიდან იგივე მეორდებოდა. და ასე ყოველდღე.

ერთ კანონზომიერებას მივაქციეთ ყურადღება: დაღამდებოდა თუ არა, მინისტრთა საბჭოს შენობაში დაიწყებოდა პანიკა — აფხაზები შემოვიდნენ, მისადგომებთან არიან, წუთი-წუთზე შემოვლენო და ასე შემდეგ. წავიდოდა ბატონი ჯაბა იოსელიანი მითითებულ ადგილზე, წავიდოდნენ ჩვენებიც და გაირკვეოდა, რომ ტყუილი იყო...

რა თქმა უნდა, ეს კეთდებოდა შემოგზავნილთა მიერ ჩვენი დეზორგანიზაციისა და პანიკის გამოწვევის მიზნით.

ცხადია, მტრის ასეთი მოქმედება მარტო მინისტრთა საბჭოს შენობით არ შემოიფარგლებოდა. ალბათ, ამის შედეგიც იყო, რომ 25 სექტემბრიდან ჯარისკაცებმა მასობრივად დაიწყეს პოზიციების დატოვება. და ეს ხდებოდა მათი თანამებრძოლების სასწაულებრივი თავგანწირვისა და გმირობის პარალელურად.

საბრძოლო სულისკვეთების დაცემის მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ოჩამჩირიდან არა და არ მოდიოდა დამხმარე ძალა და საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც ყველა ასეთი იმედით ელოდა.

25-26-27 სექტემბერს ბატონი ედუარდი და ბატონი ჯაბა თვითონ იდგნენ ქუჩებში და აბრუნებდნენ პოზიციებიდან უკან დახეულ ნაწილებს. დაელაპარაკებოდა ბატონი ედუარდი, უკან მიაბრუნებდა, იმედს მისცემდა, ისევ გამოვიდოდა სხვების დასაბრუნებლად.

— დაბრუნებულებს თავიანთი პოზიციები დაკავებული არ ხვდებოდათ?

— არა. აფხაზები არ ტოვებდნენ თავიანთ გამაგრებულ პოზიციებს, ჩანს, საალყო ბრძოლის პრინციპს განახორციელებდნენ.

გურამ ჯანიაშვილი: ვინც დღეს სადისტური სიამოვნებით წამდაუწუმ ლაპარაკობს სოხუმიდან გამოქცევაზე, მას უნდა ვუთხრა, სცადოს ერთი საათის განმავლობაში მაინც როგორ შეიძლება ავტომატით ტანკის წინააღმდეგ ბრძოლა. კაცმა საკუთარ თავზე თუ არ გამოსცადა, ვერ გაიგებს. ბიჭები, რომლებიც ამ ომს შეეწირნენ და იქ დარჩნენ, ან ისინი, რომლებიც, არ ვიცი, ბუნების რა ძალით ცოცხლები გადავრჩით, 10 დღის მანძილზე ფაქტობრივად ცარიელი ხელებით ვებრძოდით კბილებამდე შეიარაღებულ მტერს იმის იმედით, რომ კოდორს გადმოვიდოდა ჩვენი მძიმე ტექნიკა და დაგვეხმარებოდა.

ყველამ იცის, იმ დიდი ღალატის ამბავი, როგორ გაგვწირეს მაშინ.

არმაზ სანებლიძე.

(დასასრული იქნება)

სურათზე: 1993 წლის 18 სექტემბერი. სოხუმი. მეორე პლანზე მურად ცხოვრებაძე.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.



უკანასკნელ გზაზე...

მედეა ჯაფარიძის დაკრძალვა

5 აპრილს თბილისმა, მთელმა საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა შესანიშნავი ქართველი მსახიობი მედეა ჯაფარიძე.

12 საათზე მისი ცხედარი დაასვენეს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე, თეატრში, სადაც მედეა ჯაფარიძე თითქმის ხუთი ათეული წლის მანძილზე ქმნიდა ქართული საზღვარგარეთული კლასიკის, თანამედროვე ავტორების ნაწარმოებთა გმირების დაუვიწყარ სცენურ სახეებს. ეს იყო მარინე მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინაში", გულსუნდა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში", გულქანი პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალში", შექსპირის ჯულიეტა, კლეოპატრა და ელიზა დულიტლი ბერნარდ შოუს ნაწარმოებებში, ნინო ლაშა თაბუკაშვილის „ძველ ვალსში". მედეა ჯაფარიძემ ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში. დიდმა ტალანტმა, მაღალმა მოქალაქეობრივმა თვისებებმა, საოცარმა სილამაზემ და მომხიბვლელობამ, გულისხმიერებამ და ხათნოებამ მას საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოუპოვა, ქართველი ქალის სიმბოლოდ აქცია იგი.

დინამიკებიდან ისმის მედეა ჯაფარიძის ხმა სცენებიდან, რომლებშიც იგი მონაწილეობდა. გაუთავებელ ნაკადად მოდიან სცენური ხელოვნების მოყვარულნი, მეგობრები, კოლეგები, რათა უკანასკნელად მიაგონ პატივი ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის ხსოვნას. აქ მოვიდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. ფაცაცია, პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე, პარლამენტის წევრები. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიან ქართული კულტურის მოღვაწეები, მსახიობის კოლეგები.

სამგლოვიარო მიტინგს ხსნის მედეა ჯაფარიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე, ვიცე-პრემიერი ი. მენაღარიშვილი.

— დღეს, — თქვა მან, — მთელი საქართველო ეთხოვება ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავს, შესანიშნავ ადამიანსა და მოქალაქეს, საზოგადო მოღვაწეს მედეა ჯაფარიძეს. გავიდეს წლები, ათწლეულები, მაგრამ ხალხის ხსოვნაში მარად დარჩება ნათელი სახე ქალისა და მსახიობისა, რომელიც სიყვარულის, სილამაზის, სიკეთის, მაღალი მოქალაქეობისა და უსაზღვრო ჰუმანიზმის განსახიერებად იქცა.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს მსახიობებმა ო. მეღვინეთუხუცესმა და ე. მაღალაშვილმა, რეჟისორმა ლ. იოსელიანმა, თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რ. ბერიძემ, რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ.

წაიკითხეს განსვენებულის ოჯახისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრისთვის გამოგზავნილი სამძიმრის დეპეშები.

სამგლოვიარო პროცესია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისკენ გაემართა. კინოსტუდია „ქართული ფილმის" ძველ შენობასთან, სადაც გადაღებულია ფილმი „ქეთო და კოტე" მთავარ როლში მედეა ჯაფარიძის მონაწილეობით, პროცესია შეჩერდა. გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს ამ ფილმის დამდგმელი რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი. ხალხი განაგრძობს გზას თავისი კერპის უკანასკნელი სავანისკენ. დიდუბის პანთეონში მიტინგი გაგრძელდა. გამოვიდნენ საქართველოს კულტურის მინისტრი დ. მაღრაძე, მსახიობი ს. ჭიაურელი, მწერალი ა. ბაქრაძე, რეჟისორი ე. შენგელაია...

მიტინგი დამთავრდა. ამიერიდან შესანიშნავი მწერლისა და რეჟისორის რევაზ თაბუკაშვილის საფლავის გვერდით სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებს მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი უბადლო მედეა ჯაფარიძე.

საფლავს მსახიობის მშობლიური რაიონის — საჩხერის მიწა მიაყარეს და გაზაფხულის ნაირფერი ყვავილების თაიგულებით შეამკეს.

საქართველოს კინოკონცერნი „ქართული ფილმი" ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს სახალხო არტისტის

მედეა ჯაფარიძის

გარდაცვალებას.

6-დან 18-აპრილამდე მხოლოდ კინოთეატრ «ივერიაში»
(რესპუბლიკის მოედანი)
ახალი გასართობი კინოკომედია
«გულთამპყრობელი»
კინოვარსკვლავის სასიყვარულო თავგადასავლები
(საფრანგეთი — იტალია)
დას. 12. 14. 16 სთ.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი

მცირე განმარტება

„მრიცხველი უნდა დავატრიალო?!"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 1 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სააპრილო ხუმრობა-ჩანახატი, რომელიც, როგორც რედაქციაში შემოსული სიგნალებიდან ირკვევა, მკითხველთა ერთმა ნაწილმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. ზოგმა, როგორც ჩანს, იუმორს გვერდი აუქცია და წერილის ავტორი ელექტროქურდების დამცველთა რიგში დააყენა. სინამდვილეში კი იუმორი სწორედ იმათ წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც რაღაც მაქინაციებით ცდილობს ელექტრომრიცხველის ჩვენება ხელოვნურად შეამციროს, თვითონ იხეიროს, სახელმწიფოსა და თელასს კი ზარალი მიაყენოს.

ასეთები რომ მართლაც არსებობენ (რა თქმა უნდა, მობინადრეთა დიდი უმრავლესობა კეთილსინდისიერად იხდის დანახარჯს), თელასიც დაგვეთანხმება (მას არა ერთი კონკრეტული ფაქტი აქვს აღრიცხული) და მათ ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ. ამ წერილის მიზანიც ეს არის — ყველა მობინადრემ გადაიხადოს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური. მერწმუნეთ, ეს სარგებლობას მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე თვით მოსახლეობასაც.

ოთარ ხუციშვილი.

ცხელ გულზე

გაფიცულებს

მსურს, პირში გითხრათ სათქმელი,
როგორც არ უნდა გაფიცხდეთ,
თუ გიფიქრიათ, რა მოხდება,
გაფიცვასა და გაფიცვებს?

როცა ჯარს ლუკმა აკლია,
იარაღი და შინელი,
როცა დიდიც და პატარაც,
დადის შიშველი, მშიერი:

ამ დროს, აქ, ზურგში მყოფები,
რა პირით ვაწყობთ გაფიცვებს?
ფრონტს უნდა ვეხმარებოდეთ,
მტერს რომ მამული არ მივცეთ!
ზოგი საკბილოდ გვეყურებს,
ზოგიც რომ ფეხი დაგვიცდის,
ამ დროს ჩვენს ლატაკ ქვეყანას,
ჩვენ თვითონ ვუწყობთ გაფიცვებს?

ხუმრობით მინდა დავშორდეთ,
(თუმცა, ყველას არ ეხება),
სხვას თავი რომ დავანებოთ,
ფეხსაცმლები გვიხევა!

კილომეტრებზე დავრბივართ
და შუბლზე ხვითქი გადაგვდის,
ვისაც თქვენ უწყობთ გაფიცვებს,
არცერთი ფეხით არ დადის!

გურამ კლდიაშვილი.

წიგნის თარო

ებრაელთა ისტორია

ცნობილმა მწერალმა და ისტორიკოსმა, პროფესორმა ლევან სანიკიძემ კიდევ ერთი კარგი წიგნით გაახარა მკითხველი — საინტერესოდ მოგვითხრო ებრაელი ხალხის ისტორია.

იგი ამ წიგნსაც წერს ჩვეული [illegible], მხატვრული პროზით, [illegible] მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზით.

წიგნი „საბრუნველ... ისრაელ... ებრაელ..." ღრმა პატივისცემის გამოხატულებაც არის საქართველოში მცხოვრები ებრაელებისადმი, რომლებიც უკვე 26 საუკუნეა ჩვენს პურსა და ღვინოს იზიარებენ და ერთხელაც არ [illegible] ეს მიწა-წყალი ჩვენთან.

წიგნი, რომლის [illegible] მალე კი [illegible], გამოსცა [illegible] უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

საჩუქრად... სინათლე

ფირმა „ჩითახევი-ბორჯომის" ენერგეტიკოსთა გადაწყვეტილებით, ბორჯომის რაიონში მცხოვრები ომის ინვალიდები, ომში დაღუპულთა ოჯახები, მარტოხელა, უპატრონო მოხუცები, შრომისუუნარო მძიმე ავადმყოფები, 1 აპრილიდან განთავისუფლდნენ 50 კილოვატსაათამდე დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადისაგან, ხოლო ამაზე ზევით ელექტროენერგიის ხარჯვისათვის გადაიხდიან ღირებულების მხოლოდ ნახევარს — 50 პროცენტს.

— თუ ფირმა განთავისუფლდება რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი გადასახადისაგან და „საქენერგო" [illegible] ელექტროენერგიის [illegible], ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ბორჯომის რაიონის მოსახლეობას უფასოდ მივაწოდოთ ელექტროენერგია მთელი წლის მანძილზე, რაც ხელს შეუწყობდა ტყის გადარჩენას, რომლის განადგურებით მიყენებული ზარალი აუნაზღაურებელი იქნება ახლა და შორეულ მომავალშიც, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ფირმა „ჩითახევი-ბორჯომის" გენერალურმა დირექტორმა ზაურ ლაზარაშვილმა.

ბორჯომელ ენერგეტიკოსთა მისამართით მხოლოდ მადლობა შეიძლება ითქვას. მრავალი სირთულის მიუხედავად, მათ შეძლეს ბორჯომისა და მეზობელი სამცხე-ჯავახეთის რაიონების მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა ზამთრის პერიოდში არსებული გრაფიკის მიხედვით.

რეზო მინდელი,
საქინფორმის კორ.

პარტიებსა და მოძრაობებში

საქმიანი შეხვედრები

ახლახან აგრარული პარტიის თავმჯდომარე რ. ლიპარტელიანი და თანათავმჯდომარე ბ. პაპიძე შეხვდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ ასლან აბაშიძეს. განხილული იყო საკითხი აჭარაში აგრარული პარტიის რეგიონული ორგანიზაციის შექმნის თაობაზე.

აგრარული პარტიის ხელმძღვანელობა შეხვდა აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკის ქართველ მოსახლეობას.

იმავე დღეს აგრარული პარტიის წარმომადგენლები შეხვდნენ თურქეთის პარტიების ხელმძღვანელებს და გაეცნენ თურქეთში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას.

აგრარული პარტიის პრესსამსახური.

ფეხბურთი

გრძელდება ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები. გთავაზობთ ლიდერთა მონაწილეობით გამართული მორიგი შეხვედრების შედეგებს:

იტალია. „მილანი"-„პარმა" 1:1, „იუვენტუსი"-„ინტერი" 1:0, „კრემონეზე"-„სამპდორია" 0:0. „მილანი" ექვსი ქულით უსწრებს „იუვენტუსს" და შვიდით — „სამპდორიას".

ესპანეთი. „ოვიედო"-„დეპორტივო" 2:5, „ლერიდა"-„ბარსელონა" 1:2, „სელტა"-„რეალი" 3:2. სატურნირო მდგომარეობა ფინიშამდე 7 ტურით ადრე: „დეპორტივო" — 45, „ბარსელონა" — 43, „რეალი" — 40 ქულა.

გერმანია. წარუმატებლად ითამაშეს ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა. რევაზ არველაძის „კიოლნი" სტუმრად დამარცხდა გათამაშების ლიდერთან — „ბაიერნთან" 0:1, ხოლო კახი ცხადაძის „აინტრახტმა" ასევე მეტოქის მოედანზე ასეთივე ანგარიშით წააგო „ლაიფციგთან".

ჭადრაკი

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. დასკვნითი ტურის წინ ფინალის 2 საგზურის მოპოვების შანსს ინარჩუნებდნენ დავით ლობჟანიძე — 7,5, რომან სიჭინავა და სოსო კვირიაშვილი — 6,5—6,5 ქულა თითოეული.

გუშინ გამართული გადამწყვეტი პარტიების შემდეგ უძლიერესთა შორის თამაშის უფლება მოიპოვეს ლობჟანიძემ (თბილისი, 8 ქულა) და სიჭინავამ (სენაკი, 7,5 ქულა).

ეროვნული ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში 3 მაისს დაიწყება.

გვახსოვხართ, ვეტერანებო!

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე ბეჟან ხურციძე და ამავე კომისიის წევრი ჯუმბერ მარღანია ამ დღეებში თელავს ეწვივნენ და რაიონის ვეტერან სპორტსმენებს მათი ძველი დამსახურების აღსანიშნავად შეძლებისამებრ, ჩვენს მძიმე დღეებში დასამახსოვრებელი ნობათები გადასცეს.

მსგავსი ღონისძიებები კვლავაც გაგრძელდება.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის
მეათე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1994 წლის 30 მარტს ქ. თბილისის ისნის რაიონში, მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	№№ სერიის	№№ ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00011	040=	1000000	08363	016=	250000	16717	006=	100000
00059	016=	100000	08796	020=	100000	16734	014=	100000
00124	002=	250000	09545	1-40	75000	17113	015=	250000
00774	1-40	50000	09621	030=	100000	17267	009=	100000
00913	023=	250000	10647	014=	500000	17338	007=	100000
01126	003=	100000	10783	009=	250000	17598	018=	500000
01329	025=	100000	11200	1-40	75000	17745	1-40	50000
01527	032=	100000	11255	1-40	50000	18281	016=	250000
01703	011=	250000	11429	034=	250000	18400	012=	100000
02565	026=	100000	11985	002=	100000	18441	017=	100000
02591	017	100000	12098	1-40	75000	18500	002=	75000
03271	1-40	75000	12255	007=	250000	18838	015=	100000
03345	028=	100000	12605	033=	250000	19107	021=	100000
03353	007=	100000	12829	1-40	50000	19219	1-40	10000
03551	020=	250000	12870	040=	100000	19546	1-40	50000
03571	1-40	50000	12977	1-40	50000	20459	1-40	50000
03755	037=	100000	13114	035=	100000	20483	040=	250000
03847	033=	50000	13543	004=	100000	20522	1-40	50000
03859	1-40	50000	13808	022=	100000	21026	024=	100000
03955	025=	100000	14012	018=	100000	21135	008=	100000
04104	029=	250000	14399	012=	100000	21877	031=	100000
04365	1-40	75000	14526	030=	100000	21934	029=	250000
04378	001=	100000	14533	024=	100000	22392	023=	100000
04468	035=	100000	14578	1-40	50000	22703	036=	250000
04756	033=	250000	14657	1-40	75000	22726	022=	100000
04758	023=	100000	15061	037=	100000	22758	1-40	50000
04772	036=	100000	15103	025=	100000	22831	029=	100000
04780	012=	100000	15149	015=	250000	22882	028=	100000
04981	040=	100000	15279	038=	100000	23431	009=	250000
05228	008=	100000	15489	1-40	75000	24086	003=	250000
05487	004=	100000	15613	016=	100000	24184	1-40	50000
06037	035=	100000	15700	033=	500000	24260	011=	75000
06191	040=	100000	15758	032=	250000	24429	1-40	75000
06891	033=	100000	16065	035=	250000	24599	002=	100000
07080	026=	500000	16247	1-40	75000	24914	010=	500000
07628	017=	100000	16313	1-40	50000	24969	015=	100000
08262	028=	100000	16604	1-40	10000			

ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10000 კუპონი.

ცხრილში მოცემულია მოგება 5000 კუპონად ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონად ღირებული ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000, 510000, 260000, 110000, 85000, 60000, 20000 კუპონი.

1000 კუპონად ღირებული ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200000, 100000, 50000, 20000, 15000, 10000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ისნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე — ა. გონგლაძე.

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფულის მიმოქცევის, ფასებისა და საკრედიტო პოლიტიკის განყოფილების უფროსი — ნ. კირვალიძე.

თავმჯდომარის მოადგილე — ისნის რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსი — ა. მინდიაშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომერციული შემნახველი ბანკის დეპოზიტის, ანაბრებისა და უნაღდო ანგარიშსწორების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი — ბ. კურტანიძე.